619
1974



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დროშა

თებერვალი
№ 2 1974 წ.



დიადი ბრძოლა     პლაკატი დინარა ნოდიასი.

# საქართველოს ამ ამღერებას...

ნუ ჩამორჩები
გაზაფხულის
ამ მდინარებას —
ენგურის,
ბზიბის,
ივრის და
მულხრის.
საქართველოში
გაზაფხულის
ისმის ბრძანება,
ყური მიუგდე
მდინარეთა
საოცარ ქუხილს.

ნუ ჩამორჩები
გაზაფხულის აბრიალებას —
არაგვის,
ქციის,
ხრამის.
ალაზნის
მე არ მსმენია
არასოდეს აგრიალება —
ასე მქუხარე,
ასე კარგი,
ასე ლამაზი.

ნუ ჩამორჩები
გაზაფხულის
ამგვარ დინებას,
მტკვრის და
რიონის,
ხანისწყლის და
კოდორის ძალას,
საგულდაგულოდ
გაბადრული
მზე იკბინება
და გადმოკიდულ
ყინვარებზე
ბრიალებს ალად.

ნუ ჩამორჩები
გაზაფხულის
ამ მღელვარებას
და ამ საოცარ
სიმღერების
ერთგული დარჩი!
არ დაგავიწყდეს
მხნელ-მთესველთან
შეხმიანება,
ამოუდექი
სიახლეთა
ოსტატებს მხარში.

ისევ ეცადე,
რომ ახალი
სიტყვა დაბადო,
ეს მერამდენე
გაზაფხულის
სუნთქვას ესწრები
თქვი, რომ მარადჟამს
საქართველო იყო საბადო —
კაცურ-კაცობის,
ძმობისა და
მწველი ლექსების.

ნუ ჩამორჩები
საქართველო!
ამ ამღერებას,
ტალღებს ფაფარში
ჩაეჭიდე,
მიჰყევ დინებას
ამ ლამაზ ჩქერთა
ქუხილშია ბედნიერება
და იმ მომავალ
სტრიქონების
გამობრწყინება.

რევაზ მარგიანი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 2 (444), თებერვალი, 1974 წ.

გამოცემის წელი 51-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

© „დროშა“, 1974

ეროვნული ბიბლიოთეკა







# პარტიის მიმართვის პასუხად

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი ეს არის ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც ყველა კომუნისტს, ყველა საბჭოთა ადამიანს მოუწოდებს ამრავლონ თავიანთი შრომითი მიღწევები პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპროგრამო მიმართვას ფართოდ გამოეხმაურა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ინტელიგენციის წარმომადგენლებმა მიმართვის საპასუხოდ კიდევ უფრო მეტი ენერგიით, მეტი გულმოდგინებით უნდა განვავითაროთ მეცნიერება ტექნიკა, კულტურა. უნდა მივაღწიოთ მეცნიერულ სამუშაოთა ეფექტიანობის ამაღლებას, სახალხო მეურნეობაში უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა უსწრაფეს დანერგვას. ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს გადაწყდა მომზადდეს და დასაცავად გადაეცეს 85 საკანდიდატო და 20 სადოქტორო დისერტაცია. გეგმის ზევით ჩვენი ინსტიტუტები ჩაატარებენ 21 კვლევით სამუშაოს.

მთელ რიგ პრაქტიკულ საკითხებს გადაწყვეტენ ფიზიკის, კიბერნეტიკის, მცენარეთა ბიოქიმიისა და სხვა ინსტიტუტები. სულ წარმოების, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და, საერთოდ, სახალხო მეურნეობისათვის პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სამუშაოთა რიცხვი, რომელთა შესრულება აკადემიის ინსტიტუტებმა იკისრეს, ორმოცს აღწევს.

პარტიის ისტორიული მიმართვის საპასუხოდ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია კისრულობს ხუთწლედის მეოთხე წელს გადაჭარბებით შეასრულოს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და მთლიანად უზრუნველყოს მეცნიერების ყველა დარგის მონაპოვარის გამოყენება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაში.

**სერგო დურმიშიძე,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა კარგად ვიცით ჩვენი საბრძოლო ამოცანა ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელ წელს: ჩვენ მკვეთრად უნდა გავზარდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. უნდა ვაწარმოოთ მეტი ჩაი, ყურძენი, ხორცი, ხილი, ბოსტნეული...

ამ ძნელი და საპატიო ამოცანის შესრულებაში დიდ დახმარებას გაგვიწევს პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, რომელმაც ახალი ენერგიითა და სიხარულით აღავსო ჩვენი გულები.

პირადად მე კარგი მაჩვენებლებით დავამთავრე შარშანდელი წელი. გეგმით გათვალისწინებული 4 ტონის ნაცვლად 10,5 ტონა შაქრის ჭარხალი მივეცი სამშობლოს. მოვიწიე სიმინდისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, მილიონობით ადამიანთან ერთად, მეც ახალი შრომითი მიღწევებისათვის აღმაფრთოვანა, მეტი ძალა და ენერგია შემმატა. მტკიცეთ გადავწყვიტე, წელს, სულ ცოტა, 12 ტონა შაქრის ჭარხალი მოვიწიო. მინდა მთელი ჩვენი კოლექტივის სახელით განვაცხადო, რომ 1974 განმსაზღვრელ წელს უფრო უკეთესად ვიშრომებთ, ძალასა და ენერგიას არ დავზოგავთ და ახალი წარმატებებით გავახარებთ დედასამშობლოს.

**ტურფა ხარიბეგაშვილი,**
გორის რაიონის სოფელ კარალეთის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ახალი წელი, როგორც იტყვიან, ფეხბედნიერად დაიწყო ჩემთვის: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 1973 წლის გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომენიჭა.

ჩემთვის ამ სასიხარულო დღეებში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

ამ ისტორიულმა მიმართვამ მშრომელ ადამიანებს ენერგია გაგვიორკეცა, აღგვაფრთოვანა, კიდევ უფრო გაგვიმტკიცა მომავლის რწმენა, ახალი შრომითი გმირობისაკენ მოგვიწოდა.

ფოლად-თუჯსასხმელი ქარხნის მეკოპეთა ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, გასულ სამ წელიწადში შეასრულა ხუთწლედის დავალება. ბიჭებმა გულმოდგინედ ავწონ-დავწონეთ მთელი ჩვენი შესაძლებლობა და მტკიცედ გადავწყვიტეთ: ხუთწლედის დარჩენილ ორ წელიწადში მომავალი ხუთწლედით გათვალისწინებული გეგმა დავძლიოთ.

ჩვენ სიტყვის გატეხვა არ გვჩვევია. ვთქვით და შევასრულებთ კიდეც! ეს იქნება ჩვენ მიერ შეტანილი წვლილი იმ დიდ, საერთო საქმეში, რომლისთვისაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული მიმართვა აღგვაფრთოვანებს.

**გიორგი კურტანიძე,**
თბილისის ფოლად-თუჯსასხმელი ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი.

სარედაქციო კოლეგია: ბ. ბახტაძე, თ. ბოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, ა. მინდაძე, გ. ნატროშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ტაბალუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.
კორექტორი ტ. თაბორიძე.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.



ეცნობიან ბრძოლო ამოცანას.



ბორის მიჩურინი და ნოდარ თავდგირიძე.

ფოტო **თარხან არჩვაძისა.**

# ვემსახურები საბჭოთა კავშირს!

პრაპორშჩიკი ვასილ შელკოვოი პირველად აბანოში ნახა ნოდარმა.

ჰალარა, ბრჭყვიალა სამხრეებიანი პრაპორშჩიკი ტანსაცმლის ჩამოსაკიდებელ კარადებთან იდგა და ყურადღებით ათვალიერებდა ახალთახალ კირზის ჩექმებს, სამხედრო შარვლებსა და გიმნასტურებს, ფართო, ლაპლაპა ბალთებიან ქამრებს, ბუშლატებს, ყურებიან ქუდებს.

— ბიჭებო, თქვენი ტანსაცმელი ცალკე შეჰკარით და ისე ჩამაბარეთ, სამაგიეროდ უსასყიდლოდ მიიღეთ აი ეს დიდებული სამხედრო ფორმა! იცოდეთ, ტანსაცმელი ერთი წელიწადი უნდა გეყოთ, ჩექმები — რვა თვე. მაზარებს ყაზარმაში დაგირიგებთ, ჯერჯერობით კი ბუშლატები იხმარეთ... ნახეთ, რა ბუშლატებია, ერთ ჩაცმადა ღირს! ამოირჩიეთ, ეცადეთ, რომ ჩექმები სრული ან ვიწრო არ მოგივიდეთ.

როცა ნაბანოები, სახეაჭრელებული ბიჭები ტანსაცმელსა და ჩექმებს ჩაიცვამდნენ, პრაპორშჩიკი მათ სათითაოდ ათვალიერებდა, სახელოებს უსწორებდა, ბოლოს კეფაში ხელს ამოარტყამდა ახალწვეულს და რიხით შესძახებდა:

— ნამდვილი ჯარისკაცი ხარ!.. შემდეგი!

ნოდარმა სარკეში ჩაიხედა. სამხედრო ფორმა ძალზე უხდებოდა.

ასე დაიწყო ჯარისკაცული ცხოვრება.

...დღეები ტაატით გადიოდა. ახალწვეულებს დილიდან საღამომდე მოსვენება არა ჰქონდათ, სად არ დაჰყავდათ, არც წვიმას ეპუებოდნენ, არც თოვლს, არც სიცხეს. დილით სამხედრო ქალაქის ეზოში დაარბენინებდნენ, ნასაუზმევს ქალაქგარეთ მიდიოდნენ, დააყენებდნენ ტრიალ მინდორში და ხან ათასნაირ წესდებებს უკითხავდნენ, ხან ფიზკულტურაში ამეცადინებდნენ, ასწავლიდნენ მწყობრში სიარულს, ცარიელი ავტომატებიდან „სროლას“, ხელყუმბარის ტყორცნას...

საღამო ხანს კლუბში იკრიბებოდნენ. ისხდნენ თმაგადაპარსული ბიჭები და იზეპირებდნენ სამხედრო ფიცის ტექსტს: „მე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე, შევდივარ საბჭოთა არმიის რიგებში, საზეიმო ფიცს ვდებ...“;

თითქმის სამი თვე გავიდა, მაგრამ საშველი აღარ დაადგა ახალწვეულების ჯარისკაცებად „მონათვლას“. არადა, ფიცის მიუღებლად არც ყარაულში გიშვებენ, არც მედღეურად გაჰყენებენ; ჯარისკაცის ფორმა კი გაცვია, ავტომატიცა გაქვს და ნამდვილი ჯარისკაცი მაინც არა ხარ...

... ნოდარი საყარაულო შენობაში საწოლზე წევს და ფიქრობს. წესით მას ახლა უნდა ეძინოს: ერთი საათის შემდეგ საგუშაგოზე უწევს დგომა. გვერდით მწოლარე ბორის მიჩურინს უნდა გაესაუბროს, მაგრამ იცის, ეს წესდების აშკარა დარღვევა იქნება. ისე კი, მგონი, არც ბორისს სძინავს, ხშირად იცვლის გვერდს. გარეთ ცივა, შენობის სახურავზე ჩამოკიდებული ყინულის ლოლუა ფანჯარაში იჭყიტება... შინ ახლა ალბათ ცხელ ღუმელთან სხედან მისი ახლობლები და ნოდარზე ფიქრობენ. ნოდარის უფროსი ძმები: აჰმედი, ზურაბი და რეზო დღეს მეორე ცვლაში მუშაობენ. იბრაგიმი გემზე იქნება, შინ მარტო დედა, მამა, ნუნუ და ბულბულა არიან... ო, როგორ მოენატრა თავისიანები, აგერ უკვე მთელი წელიწადია, რაც არ უნახავს...

გარეთ ისევ ყინავს. ნომერ პირველ საგუშაგოზე ვალოდია მოროზოვს ნოდარი სცვლის. თბილი ქურქი და თექის ჩექმები აცვია. ქურქის უშველებელი საყელო აწეული აქვს და მთელ კეფას უფარავს. შორს, მთაწმინდაზე აღმართული სატელევიზიო კოშკის ნათურები ბრწყინავს. აქ კი საყრდენებზე შემდგარი უშველებელი ავტომანქანების ცივი თვალები იჭვრიტებიან ფარდულიდან.

ახლა რომ ვინმე პარკში შემოიპაროს, როგორ მოიქცევა ნოდარი? ესვრის? არა, კი არ ესვრის, გააფრთხილებს, ხელებს ააწევინებს და ყარაულის უფროსს გამოიძახებს. ის „ვინმე“, რა თქმა უნდა, საშიში ჯაშუში აღმოჩნდება... მერე იმ ჯაშუშს დივიზიის შტაბში გაგზავნიან, იქიდან — არმიის შტაბში და, ვინ იცის, შეიძლება სამინისტრომდეც მივიდეს ნოდარის სიმამაცის ამბავი.

და უცებ, ოცნებაში წასულ ჯარისკაცს გაყინული თოვლის ხრაშახრუში ესმის.

— შეჩერდი, ვინ მოდის? — ყვირის ავტომატმომარჯვებული ნოდარი.

— ცვლა! — გაისმის ლაკონიური პასუხი.

გუშაგს ეჭვი ეპარება. ასე ჰგონია, რომ შემოგზავნილი ჯაშუში ლაპარაკობს შეცვლილი ხმით.

— სახე გაინათე!

სიბნელეში ჯიბის ფანარი თვალებს სჭრის ნოდარს, მერე ყარაულის შემცვლელის გაკვირვებულ სახეს ხედავს.

— მაპატიეთ, ამხანაგო სერჟანტო, ხმაზე ვერ გიცანით, — მოიბოდიშა დარცხვენილმა გუშაგმა.

— ყოჩაღ! ასე უნდა სამსახური, რიგითო თავდგირიძე! — შეაქო სერჟანტმა ნოდარი.

— ვემსახურები საბჭოთა კავშირს! — სმენაზე დგება ყარაული.

საყარაულო შენობაში ერთად შედიან ნოდარ



დილის ტუალეტი.



ბიჭები ზეიმისათვის ემზადებიან.

თავდგირიძე, ბორის მიჩურინი, ვლადიმერ ხომიაკოვი, ქურქებს იხდიან, თექის ჩექმებს იცვლიან და ცხელ ღუმელს ეფიცხებიან.

საყარაულო სამსახურის წესდების მიხედვით, საგუშაგოდან დაბრუნების შემდეგ, ორი საათი უნდა ფხიზლობდე. შეგიძლია ითამაშო, ისაუბრო, იკითხო, წერო. მხოლოდ არ უნდა დაიძინო და შენობიდან არ უნდა გახვიდე.

ნოდარი წერილს წერს, ბიჭები შაშს თამაშობენ, ყარაულის უფროსი მაგიდას იდაყვებით დაყრდნობია და ლექსებს კითხულობს.

— გოგოსა სწერ? — ეკითხება თავზე წამომდგარი ბორისი ნოდარს.

— არა, მშობლებს.

— შეყვარებული არა გყავს?

— არა. შენ?

ბორისი გულის ჯიბიდან იღებს სურათს. სურათიდან ბორისი და ლამაზი ქალიშვილი იღიმებიან.

— წამოსვლის წინ გადავიღეთ.

ნოდარი ყურადღებით ათვალიერებს სურათს.

— უყვარხარ?

ბორისი იღიმება, ვითომ ეგ რა საკითხავიაო.

— შინ რომ დაბრუნდები, რა უნდა გააკეთო?— ეკითხება ნოდარი მეგობარს.



— დონეცკში რომ ჩავალ, შახტში ვიმუშავებ, ტანიას შევირთავ... შეიძლება სწავლა გავაგრძელო... შენ? შენ რაღა უნდა გააკეთო?

ნოდარის დედა, მამა და სამი ძმა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში მუშაობენ. ნოდარიც მათთან მოეწყობა, აბა სხვაგან სად წავა, სახლიც იქვე აქვთ. მერე კი... ალბათ, ვინმე შეუყვარდება და თვითონაც ოჯახს მოეკიდება.

... ყაზარმაში რომ დაბრუნდნენ, ჯარისკაცები შესასვლელთან ჩამოკიდებულ საფოსტო ყუთს ეცნენ.

...ყაზარმაში შუქი ქრება.

მედღეური გაჭიმული დგას შემოსასვლელთან.

ბიჭებს უკვე ჩაეძინათ.

ღამის სიბნელეში უცბად განგაშის ხმა გაისმის.

— განგაშია!.. ადექით! — დაფეთებული დარბის ყაზარმაში მედღეური.

ბიჭები წამოცვივდნენ, პირამიდებს ეცნენ, ავტომატები და აირწინაღები დაიტაცეს, მაზარები გადაიცვეს.

შიკრიკები მეთაურების გასაღვიძებლად გარბიან. რამდენიმე წუთში ასეული მწყობრში დგას. მეთაურის ბრძანებით ჯარისკაცები მანქანებში სხდებიან და იწყება გრძელი გზა გაურკვეველი მიმართულებით. გზადაგზა კი ოცეულების მეთაურები საბრძოლო ამოცანას აცნობენ მეომრებს.

გამთენიისას მეკავშირეთა ასეული უსახელო მაღლობთან იჭერს საბრძოლო პოზიციებს. მეთაურის სათვალთვალო პუნქტთან კავშირი წყდება.

— თავდგირიძე, — ბრძანებს ოცმეთაური, — სასწრაფოდ აღადგინეთ კავშირი სათვალთვალო პუნქტთან.

ცივი ქარი პირდაპირ სხეულში ატანს, გაყინულ თოვლზე ხოხვა თითქმის შეუძლებელია, არადა „მოწინააღმდეგემ“ თუ შეგნიშნა, უეჭველად გესვრის. მართალია, მეკავშირე შენიღბულია, მაგრამ გამართული სიარული მაინც საშიშია. ნოდარი ხოხვით მიიწევს წინ და, რამდენიმე ხნის შემდეგ, წარმატებით ასრულებს საბრძოლო დავალებას.

...დილით ასეული ყაზარმის წინ მოეწყო.

მეთაური ჯარისკაცებს მიესალმა, მერე სმენაზე დადგა და ბრძანა:

— რიგითო თავდგირიძე, გამოდით მწყობრიდან!

ნოდარი სამწყობრო ნაბიჯით გამოვიდა, მეთაურს მიუახლოვდა და გაიჭიმა.

— მოისმინეთ პოლკის მეთაურის ბრძანება. ტაქტიკურ მეცადინეობაზე გამოჩენილი საზრიანობისა და მოხერხებულობისათვის და, საერთოდ, კეთილსინდისიერი სამსახურისათვის რიგითი ნოდარ თავდგირიძე დაჯილდოვდეს მოკლევადიანი შვებულებით.

— ვემსახურები საბჭოთა კავშირს! — ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა ყვირის რიგითი თავდგირიძე.

ბორისმა წესდება დაარღვია და მწყობრში დაბრუნებულ ნოდარს მაგრად მოუჭირა ხელზე ხელი.

იმ ღამეს, როცა ასეული უკვე ღრმა ძილში იყო, პრაპორშჩიკმა შელკოვოიმ გულდაგულ შეათვალიერა რიგითი თავდგირიძის საპარადო ფორმა და ღიმილით დაულოცა გზა შინ მიმავალ ჯარისკაცს.

... დილით კი ისევ იწყება ვარჯიში, მეცადინეობა, საბრძოლო წვრთნა. ბიჭები მონდომებით ეუფლებიან თანამედროვე პირველხარისხოვან ტექნიკას, იმაღლებენ პოლიტიკურ და საბრძოლო ოსტატობას.

და თუ მტერი მშვიდობის ხელყოფას მოახერხებს და საჭირო გახდება, აი ეს კუნთმაგარი, გულმართალი ბიჭები ისევე მტკიცედ დაიცავენ სამშობლოს, როგორც დიდ სამამულო ომში დაიცვეს მათმა მამებმა, პაპებმა, ბიძებმა...

**ივერი ტაბიძე**

პრაპორშჩიკი ვასილ შელკოვოი დილის ჩამოვლაზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ გურეშიძე

# საიდუმლო ბარათი

ვით ფრთაფარფატა მტრედი,
როგორც იმედი მარადი,
როგორც კეთილი ბედი, —
თეთრი მოფრინდა ბარათი.

იცი, ვიღაცა გელის,
და შენზე ფიქრობს თურმე...
ბარათი აკმევს ცრემლის
და იასამნის სურნელს.

ნეტავ შენთან მქნა ახლა,
ნატვრამ ალერსით მოგძებნა...
და მიიწევა მაღლა
სევდა, ფიქრი და ოცნება.

ვზრდი საოცნებო ყვავილს —
შენთან შეხვედრის წადილს.
დრო სხვისთვის ასე ჩქარი
ჩემთვის რა ნელა გადის...

ჩემთვის რა ნელა გადის...
ო, ეს არ არის ნაღველი,
მზე ამოდის თუ ჩადის
მე ვცოცხლობ შენი სახელით.

და ისევ მსურს და მსურდა,
არ მომეკაროს ნისლი,
ვიყო ყველგან და მუდამ
შენი ტრფიალის ღირსი...

როგორც იმედი ხვალის,
ხელიდან ხელში გადადის —
მწველი ვით ცეცხლის ალი,
ეს...
საიდუმლო ბარათი.



# ჩარხები უსმენენ ოსტატს



ისევ ჩარხთან.



ძია ვანო მოვიდა.

ვინც თბილისში, ლენინის რაიონში ამ ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინათ ყოფილა, ახლა რომ ესტუმროს, ვეღარც კი იცნობს. მიყრილ-მოყრილი ქოხმახები მრავალსართულიანმა შენობებმა შეცვალა, ოღროჩოღრო გზების ნაცვლად ასფალტიანი ქუჩები მიჰყვებიან ჭადრების ხეივნებს. ვინ არ იცის ამ რაიონის რევოლუციური წარსული? ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლენინის სახელობის რაიონის მშრომელები დღესაც რევოლუციური შემართებით იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის ამოცანების შესასრულებლად. ამის დამადასტურებელია, თუნდაც, ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის საშვიდნოემბრო მშრომელთა დემონსტრაცია, რომელსაც წინ მიუძღოდნენ ლენინის რაიონის მშრომელები, ნიშნად იმისა, რომ მათ დედაქალაქის რაიონებს შორის გამარჯვებულის დროშა ეპყრათ ხელთ.

რაიონში მრავალი სახელოვანი საწარმოა; მათ შორის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა. ეს ქარხანა ძველთაგანვე გამოირჩეოდა თავისი შრომისმოყვარე ადამიანებით. მართლაც რომ საქმეში ულალატონი, ოჯახის წინაშე პირნათელნი, მეგობრობაში გამტანნი, სიტყვის შესრულებაში უბადლონი არიან ისინი. ამ კოლექტივში მოხვედრილი კაცი, როგორც იტყვიან, არ დაიკარგება. რაც უნდა გზააბნეული იყოს, არ შეიძლება კეთილ საქმეს არ დაადგეს. რაკი მოვა ქარხანაში, მისი გული სხვაგან აღარ გაიწევს, ამ კედლებს, ამ ჩარხებს, ამ დაზგებს შეაბერდება... აქ არიან ასობით ადამიანები, რომლებმაც პირნათლად მოიხადეს ვალი, პენსიაზე გავიდნენ, მაგრამ უქარხნოდ ცხოვრება ვეღარ აიტანეს და ისევ საყვარელ საქმეს დაუბრუნდნენ.

აი ერთ-ერთი მათგანი: ივანე ბაგაური სავაგონო საამქროს ზეინკალი. საშუალო ტანის კაცია, ხმელი, დინჯი, ერთი შეხედვით არც იფიქრებთ, უკვე სამოცდაათ წელს უახლოვდებაო.

ივანე ბაგაურის ნახელავს წუნი არასოდეს ჰქონია, ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდა გეგმებს. აგერ უკვე ორმოც წელზე მეტია, რაც ბაგაურს ხელში ქლიბი უჭირავს და ჯერ არავის ახსოვს, უმიზეზოდ გაეცდინოს დღე, ან სამუშაოზე დაეგვიანოს. თუმცაღა, ამის შესახებ არასოდეს არაფერი არ თქმულა, არც გაზეთში გამოუქვეყნებია ვინმეს წერილი, რადიოს ხმა არ დაუძრავს, ტელევიზორიც დუმს... დიახ, მასზე არასოდეს ხმაური არ ატეხილა, არც თვითონ ცდილა ამის საბაბი მიეცა ვინმესთვის, არც უფიქრია!

ივანე ბაგაურის მამა დავითიც ასეთი კაცი იყო, თავის ოთხ შვილს მუდამ შრომისმოყვარეობასა და თავმდაბლობას უნერგავდა.

— მთავარია შრომა გიყვარდეთ, სასიკეთო საქმე აკეთოთ, პირნათელნი იყოთ სინდისის წინაშე, — ასე არიგებდა დავითი შვილებს, ამ სიტყვებით დაულოცა მამამ კომკავშირის რიგებში ახლადშესულ ოცდაერთი წლის ივანეს თბილისისკენ გზა.

ივანე თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში მოეწყო, ზეინკლის ხელობა ისწავლა. ბინა ხევსურეთის ქუჩაზე, გიორგი მუსერიძის სახლში დაიქირავა, გიორგი ორთქლმავალვაგონშემკეთებელ (დღევანდელი ელექტროვაგონშემკეთებელი) ქარხანაში ვაგონების ამწე ბრიგადას ხელმძღვანელობდა.

ივანემ ცოლი შეირთო, სამი შვილის მამა გახდა.

მართალია, გიორგი მუსერიძეს ქონება თავზე არ გადასდიოდა, მაგრამ ივანე ბაგაურის ხელმოკლე ოჯახს რომ უყურებდა, ეცოდებოდა, უნდოდა რაიმეთი დახმარებოდა. ერთხელ საუბარში შეაპარა, ბინის ქირაზე ხელი ამიღიაო, მაგრამ ივანემ იუკადრისა, ქირას თუ არ გამომართმევ, აქ არ გავჩერდებიო.

იდავეს, იდავეს და ბოლოს გიორგიმ თავისი სურვილი გაუმჟღავნა ივანეს:

— ჩვენს ქარხანაში გადმოდი სამუშაოდ, ზეინკალი გვჭირდება, ჩემს ბრიგადაში არის ადგილი... ანაზღაურება უკეთესი გექნება, აქაც ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ და იქაც ერთ საამქროში ვიმუშავებთ.

გიორგი მუსერიძის წინადადება ივანეს ჭკუაში დაუჯდა. ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში — იქ, სადაც უძრეკი რევოლუციონერები აღიზარდნენ, სადაც იოსებ სტალინმა პირველი რევოლუციური ნათლობა მიიღო — მუშაობა მართლაც საპატიო იყო.

— კარგი, თანახმა ვარ, ბიძია გიორგი... იცოდე, არ შეგარცხვენთ, — ჩაილაპარაკა ბოლოს ივანემ.

ივანე ბაგაურმა გიორგის ბრიგადაში დაიწყო მუშაობა. საქმეს მალე დაეტყო ივანეს მადლიანი ხელი.

ერთ დღეს საიარაღო საამქროს უფროსი პეტრე გვანცელაძე ეწვია ვაგონების ამწე ბრიგადას და გიორგი მუსერიძეს უთხრა:

— საამქროში საზეინკლო საქმე ჩამივარდა, ივანე ბაგაური მინდა გადავიყვანო ჩვენთან... ხელმძღვანელობას უკვე მოველაპარაკე ამის შესახებ.

არ ესიამოვნა გიორგის პეტრეს სიტყვები, მაგრამ არაფერი უთხრა, თავი შეიკავა. ან კიდევ წინააღმდეგობა როგორ უნდა გაეწია, როცა კაცი თავისი პირით ითხოვდა, საამქრო ჩამორჩა და მიშველეთ რამეო.

გადავიდა ივანე საიარაღო საამქროში, საქმეს მალე აუღო ალღო, საათივითააწყო მუშაობა.

მართალია, გიორგი მუსერიძეს გული დაწყდა, ივანე ბაგაური სხვა საამქროში რომ გადავიდა, მაგრამ თავს მაინც იმით ინუგეშებდა, ჩემი ბრიგადიდან წასულმა კაცმა საიარაღო საამქროს საქმე ფეხზე დააყენაო. ბოლოს და ბოლოს, ესეც ხომ საამაყო იყო მისთვის!

დაიწყო სამამულო ომი. ქარხანაში ფრონტისათვის ოცდაათამდე კაცი შეარჩიეს ხიდების აღმდგენ მატარებელზე სამუშაოდ. ამ ჯგუფში ივანე ბაგაურიც მოხვდა.

რთულზე რთული იყო იმ ამოცანის შესრულება, რომელიც ჯგუფს ჰქონდა დავალებული: ცეცხლისა და ტყვიების სეტყვაში დანგრეული ხიდები უნდა აღედგინათ, თავდასხმის შემთხვევაში მტერსაც მტრულად უნდა დახვედროდნენ. პირველად ქერჩის მიმართულებით მოქმედებდნენ, შემდეგ კრასნოდარის მხარეს გადაინაცვლეს... ერთხანს ზურგში სარკინიგზო სამუშაოებს ასრულებდნენ, მერე ბელორუსიის ფრონტი... შრომა, ბრძოლა, ხიდების აღდგენა... 1946 წელს დაბრუნდა თბილისში ივანე ბაგაური. ფრონტზე წასული ოცდაათი კაციდან მასთან ერთად მხოლოდ ტატე ქვრივიშვილი, მიხეილ პეტრიაშვილი, ალექსანდრე ფირცხალავა, აკაკი ლაფაჩი და ნიკოლოზ ციბანოვი დაბრუნდნენ, სხვები კი... მათ სახელებს არასოდეს დაივიწყებს ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი.

ივანემ საიარაღო საამქროში დაიწყო მუშაობა, აქედან, ქარხნის ხელმძღვანელობის თხოვნით, სამონტაჟო საამქროში გადავიდა საქმის ფეხზე დასაყენებლად. ივანეს შრომის წითელი დროშის ორდენით აჯილდოებენ. 1967 წელს იგი პენსიაზე გავიდა. შვილები დაბინავებული ჰყავდა, ახლა მხოლოდ შვილიშვილებში გახარება იყო მისი საზრუნავი. პირველად, მართლაც, რომ ასე იყო, მაგრამ მალე გუნება შეეცვალა, ხასიათი დაუმძიმდა, ძველებურად ქარხნის კოლექტივში რომ აღარ ტრიალებდა, სული ულონდებოდა, გულს აღარაფერი უხარებდა. ისევ დილით ადგომა დაიწყო, ძველებურად მიეშურებოდა ქარხნისაკენ, საუბარ-საუბარით საამქროს კარს შეაღებდა, თვალს შეავლებდა თავის დაზგას, იარაღებს... შემდეგ ქარხნის მაღაზიას შეუვლიდა, პურს იყიდდა, ქალალდში გაახვევდა და სახლისკენ გაუდგებოდა გზას. გზაში შეხვედრილ ნაცნობებს უკვირდათ, რატომ მოჰქონდა ივანეს ქარხნიდან პური, როცა საფუნთუშე იქვე, სახლთან ახლოს ჰქონდა. რა იცოდნენ მათ, რომ ქარხნის მაღაზიიდან წაღებულ პურს ივანესთვის სულ სხვა გემო ჰქონდა. ამას





ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ის გაიგებდა, ის იგრძნობდა, ის ჩასწვდებოდა, ვისაც ივანესავით ამ ქარხანაში ათეული წლები ჰქონდა გატარებული.

ქარხანაში სიარულმაც ვერ დააცხრო ივანეს ღელვა. შინაგანად გრძნობდა, რომ მუშაობა ეწადა. მხოლოდ ცოლი მიუხვდა ხვაშიადს.

— შე კაი კაცო, თუ ასე იყო, რატომღა გახვედი პენსიაზე, ვინ გატანდა ძალას? რაკი ვერ გაგიძლია, დაუბრუნდი ისევ ქარხანას.

ივანემ შვება იგრძნო, მაშინვე ქარხნისაკენ გაეშურა. ქარხნის უფროსის აპოლონ მახარაშვილის კაბინეტის წინ ბევრი იტრიალა, მაგრამ შესვლა ვერ გაბედა. როცა უკან გამოტრიალდა, იღბლად კიბესთან ქარხნის უფროსის მოადგილე გრიგოლ კაჭკაჭიშვილი შეეფეთა. ერთმანეთს მიესალმნენ. ივანეს სიწითლე მოეძალა სახეზე, გრიგოლი მიხვდა, რაღაც აწუხებდა ვალმოხდილ ზეინკალს, მითხარიო, ანიშნა, მაგრამ ივანემ მაინც ვერ ამოიღო ხმა. ბოლოს ისევ გრიგოლ კაჭკაჭიშვილმა თქვა მისი სათქმელი:

— თუ გინდა, დაბრუნდი უკან, ჩემო ივანე, შენთვის ყოველთვის ღიაა ქარხნის კარი.

გრიგოლს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მათთან სავაგონო განყოფილების უფროსი ალექსანდრე სამანიშვილი მივიდა. ახალმოსულმა ივანეს ხელი ჩამოართვა, გაუხარდა მისი დანახვა.

— ეჰ, ძია ივანე, რა დროს წახვედი... მესამე საამქროში ზეინკალი გვჭირდება, საქმე უკან და უკან მიდის, ერთი შენნაირი ზეინკალი პირდაპირ მოგვენათლავდა.

საოცარი დამთხვევა იყო, რასაც ივანე ფიქრობდა, ისინიც სწორედ იმას ეუბნებოდნენ. ახლა კი ველარ შეიკავა ივანემ თავი და რაც გულში ჰქონდა, ერთად გადმოშალა:

— აღარ შემიძლია!.. თუ ჩემი სიკეთე გინდათ, ისევ ჩემს ადგილზე დამაბრუნეთ... უქარხნოდ ჩემი სიცოცხლე არ შეიძლება!..

დაუბრუნდა ივანე ბაგაური საყვარელ საქმეს. რა ენა გამოხატავს იმ სიხარულს, როცა ივანემ, სამი წლის შემდეგ, ისევ ქლიბი მოიმარჯვა ხელში და დაზგასთან დადგა. ის დღე იყო და ის დღე: ივანეს გულს დარდი აღარ გაჰკარებია, ღამეც მოსვენებით სძინავს, ოჯახშიაც სითბომ და ხალისმა იმატა...

ადრე მიდის ივანე სამუშაოზე, როგორც ახალგაზრდობაში, ახლაც წუთს არ დააგვიანებს. საზეინკლო საქმესაც ჩვეული გულმოდგინებით ეკიდება. დაამთავრებს მუშაობას და ახლა შვილიშვილებისკენ გაივლის საბავშვო ბაღში. კუდრაჭა ძია ვანოს ყოველთვის ყურადღებით უსმენენ.

პაპა და შვილიშვილი.

ფოტო **ანზორ გოგოლაძისა.**

რუსუდანს მარჯვნივ დაიყენებს, თვალებცქრიალა ირას — მარცხნივ და ასე მიუყვებიან სახლისკენ გზას. ტიკტიკებენ შვილიშვილები და მათ ტიკტიკში ისვენებს პაპა. კვირა დღით ხუთივე შვილიშვილს უყრის თავს, დასვენების დღესაც მათთან ატარებს. ხან ცირკში, ხან კინოში, ხან თოჯინების თეატრში დაჰყავს პატარები...

ბედნიერია ივანე ბაგაური! ეს ბედნიერება პატიოსან შრომაში მოიპოვა. ამ შრომამ აღამაღლა მუშა კაცის ადამიანობა, მისი ოჯახი... ამაზე დიდი სიმდიდრე კი ივანესთვის სხვა არა არის რა.

რა ვუყოთ, რომ მასზე არასოდეს არაფერი არ დაწერილა გაზეთში, არც რადიოში გამოსულა და არც ტელევიზორში უნახავთ... თუმცა რა საჭიროა იმაზე ლაპარაკი — თუ რატომ შლის არწივი ფრთებს, ბაღისკენ რუს რატომ მიჰყვება ნაკადული...

**ვახტანგ გორგანელი**



# ინგლისელი მოგზაური საქართველოზე

გასულ საუკუნეებში აღმოსავლეთ და დასავლეთ ქვეყნებს შორის სუსტი კავშირის გამო მოგზაურის ჩანაწერებს, როგორც ინფორმაციის წყაროს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოს შესახებ მასალებს ჩვენ ვპოულობთ მრავალი ევროპელი მოგზაურის ჩანაწერებში. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მოგზაურები მეცნიერები კი არ იყვნენ, არამედ საქმოსნები, რომლებიც ყურადღებას უფრო აქცევდნენ მათთვის საჭირო და სასარგებლო პრაქტიკულ საკითხებს და იშვიათად იძლეოდნენ ცნობებს ამა თუ იმ ქვეყნის კულტურისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ.

უფრო მეტ მასალას ამ მხრივ ჩვენ ვპოულობთ ინგლისელი კერ პორტერის წიგნში. კერ პორტერმა საქართველოში იმოგზაურა 1817 წელს. მისი „მოგზაურობა საქართველოში, სპარსეთში, სომხეთში, ძველ ბაბილონში და ა. შ. 1817—1820 წ. წ.“ გამოვიდა ლონდონში 1821—1822 წლებში. ნაშრომი დაბეჭდილია ორ ტომად და, როგორც ჩანს, ყურადღება მიიქცია, რადგან სულ მალე გამოიცა გერმანულ ენაზეც. პირველ ტომში შედის საქართველოს აღწერა.

რობერტ კერ პორტერი (1775—1842) ინგლისელი მხატვარი იყო, რომელმაც აღიარება პოვა ბატალური ფერწერის ჟანრში. როგორც ფერმწერი ის მიწვეული იყო რუსეთში სამუშაოდ და რუსეთიდან გაემგზავრა აღმოსავლეთში. გზად გაიარა უკრაინა, ჩრდილოეთ კავკასია და ოქტომბრის დასაწყისში ჩავიდა ვლადიკავკავში. აქედან კი საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩავიდა. აქ დაჰყო ერთი თვე და შემდეგ გააგრძელა გზა სამხრეთისაკენ.

საინტერესოა თუ რას მიაქცია მთავარი ყურადღება მოგზაურმა საქართველოში თავისი ხანმოკლე ყოფნის დროს. კერ პორტერის ჩანაწერებში, პირველად რაც შეიძლება მოგვხვდეს თვალში, არის შთაბეჭდილებათა სიჭარბე. განსაკუთრებით ნათლად და ცოცხლად წერს ავტორი იმის შესახებ, თუ რამ მოახდინა მასზე, როგორც მხატვარზე, განსაკუთრებული შთაბეჭდილება.

მის ჩანაწერებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბუნების აღწერას. ის განცვიფრებულია კავკასიის დიდებული მთებით და საქართველოს სამხედრო გზის სილამაზით.

# ჩვენებურია, ქართული

ჩვენი კორესპონდენტები **ოთარ დემეტრაშვილი** და **ეთერ მაჭავარიანი** ეწვივნენ საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, საგარეო ეკონომიური საკითხების კომისიის თავმჯდომარეს, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს **შალვა კიკნაძეს** და სთხოვეს პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

პატივცემულო შალვა, ახლა, როცა ჩვენი მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 53-ე წლისთავს, გთხოვთ მოკლედ დაგვიხასიათოთ საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობა წარსულში.

**საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველო ეკონომიურად ჩამორჩენილ, აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა. იმის ნათელსაყოფად თუ როგორი იყო საქართველოს ეკონომიკა 1917 წლამდე, შეიძლება იმდროინდელი ცნობები დავიმოწმოთ. აი რას წერდა ერთ-ერთი ოფიციალური ცნობარი: „ჩვენი მრეწველობა შესდგება ცხიმის, ტყავისა და საპნის დამამზადებელი საწარმოებისაგან. მათი უმრავლესობა კუსტარულ ხასიათს ატარებს“.**

**ელექტროენერგიის გამომუშავება საქართველოში 1913 წელს 20 მილიონ კილოვატსაათს შეადგენდა. ტყიბულის მაღაროდან, რომელიც მაშინ ქვანახშირის მოპოვების ერთადერთი კერა იყო, წელიწადში მხოლოდ 70 ათას ტონა ქვანახშირს იღებდნენ.**

**ხელსაყრელი კლიმატური პირობებისა და ნედლეულის მდიდარი რესურსების მიუხედავად, კვების მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული.**

**ქართულ სოფელს არ ჰქონდა ტექნიკა, აკლდა სასუქები. არ გვყავდნენ განათლებული სპეციალისტები, რომლებიც რაციონალურად დაგეგმავდნენ და მეცნიერულ დონეზე წარმართავდნენ მეურნეობას.**

რას გვეტყვით თანამედროვე საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შესახებ?

**მივმართოთ ციფრებს. ციფრები და ფაქტები უფრო ლაკონიურად, უფრო ნათლად მეტყველებენ იმ გრანდიოზულ გარდაქმნებზე, რომლებიც საქართველოში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.**

**ჩვენი თბო და ჰიდროელექტროსადგურები ამჟამად წელიწადში 11 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას იმუშავებენ. ეს 4-ჯერ უფრო მეტია იმაზე, რასაც მთელი მეფის რუსეთი იმუშავებდა.**

**ასეთი წარმატების მიუხედავად, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენ მაინც ჩამოვრჩით მოძმე რესპუბლიკებს. საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის მოხმარება საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე დაბალია.**

**ეს ჩამორჩენა, ცხადია, შედეგია სახალხო მეურნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროების ხელმძღვანელობაში არსებული იმ სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის, არაკომპეტენტურობისა და ზერელობისა, რომლებსაც წლების მანძილზე ადგილი ჰქონდა ჩვენს რესპუბლიკაში.**

**საყოველთაოდ ცნობილია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომლებმაც რეალური გზები დასახა ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების აღმოსაფხვრელად, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღსადგენად, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების ყველა სფეროში კლიმატის გასაუმჯობესებლად.**

**მდგომარეობა სწორდება. ჩამორჩენას თანდათან ვძლევთ. მომავალ ხუთწლედში დასავლეთ საქართველოში დაიწყება ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობა. ეს უმძლავრესი თბოელექტროსადგური 4 მილიონი კილოვატსაათი სიმძლავრისა იქნება და საშუალებას მოგვცემს ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე გამოვიდეთ მთელს კავშირში.**

**ჭიათურის მარგანეცი, რომელიც მსოფლიოში ცნობილი თავისი საუკეთესო ხარისხით, ამჟამად საბჭოთა კავშირის მარგანეცის საერთო მოპოვების 25 პროცენტზე მეტ მადანს გვაძლევს.**

**აქვე უნდა დავასახელოთ ქართული შავი მეტალურგიის უმსხვილესი საწარმოები: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ მარტო რუსთავის ქარხანაში ახლა დაახლოებით იმდენი ადამიანი მუშაობს, რამდენიც რევოლუციამდელი საქართველოს ყველა ქარხანა-ფაბრიკაში მუშაობდა.**

**მოვიყვან კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს. ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში სურამის უღელტეხილთან ელექტროფიცირებული რკინიგზის მონაკვეთზე პირველად გაიარა ელექტრომავალმა, რომელიც იტალიაში იყო ნაყიდი.**

**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხანა ახლა საბჭოთა კავშირში გამოშვებული მაგისტრალური ელმავლების დაახლოებით 28 პროცენტს უშვებს. მაგისტრალური ელმავლების წარმოებით საქართველომ უკვე გაუსწრო ევროპის განვითარებულ ქვეყნებს, მათ შორის იტალიასაც.**

**სხვა სახის მანქანებიდან და მოწყობილობებიდან, რომლებსაც ქართული დამღა აზის და რომლებმაც საქვეყნოდ გაითქვეს სახელი, შეიძლება დავასახელოთ: ქუთაისის საბარგო ავტომანქანები, ლითონმჭრელი და სახეხი ჩარხები, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორები, წყალქვეშა ფრთიანი კატარღები, კოშკურა ამწეები, არტეზიული ტუმბოები...**

**საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში შეიქმნა მრეწველობის ახალი, მაღალგანვითარებული დარგები, როგორიცაა, მაგალითად, ელექტროტექნიკური, ქიმიური, ხელსაწყოთმშენებელი და სხვა. საკმარისია ითქვას, რომ ინდუსტრიული საბჭოთა საქართველო ახლა ყოველ 5 დღეში იმდენ სამრეწველო პროდუქციას აწარმოებს, რამდენსაც რევოლუციამდე აწარმოებდა მთელი ერთი წლის განმავლობაში.**

**საქართველოს მრეწველობის საერთო მოცულო-**







ხეობებიდან თავდასხმების საშიშროების გამო, კერ პორტერი, როგორც მაშინ იყო მიღებული, მგზავრობდა ჯგუფთან ერთად სამხედრო დაცვით. მაგრამ რამდენჯერმე ის ჩამორჩა სხვებს, რათა გაეკეთებინა ჩანახატები. წიგნში მოცემულია საქართველოს სამხედრო გზის გეგმა, ყაზბეგის ხედი და აგრეთვე დარიალის ხეობის გრანდიოზული კლდეებისა და მჩქეფარე მდინარეების ჩანახატები. „არც ერთ ფანქარს არ შეუძლია ასახოს ამ სანახაობის დიდებულება“, — ამბობს ავტორი.

წიგნში ნამდვილად იგრძნობა ავტორის აღფრთოვანება იმ ადგილების სილამაზით, სადაც მას გაუვლია. დიდი გრძნობით აღწერს იგი იმ სურათის მშვენებას, რომელიც თვალწინ გადაეშალა ჯვრის უღელტეხილიდან; მას აცვიფრებს მთიულეთის მწვანე ველები და ბუმბერაზი კლდეები.

ის წერს, თუ რა ლამაზად გამოიყურება მთის კალთებზე შეფენილი სოფლის სახლები. ხატოვნად აღწერს ღამის პეიზაჟს ფ.ანანურში — კლდეებს შორის მიმოფანტულ სახლებში მოციმციმე სინათლეებს.

კერ პორტერს ·აინტერესებს საქართველოს ყველა ის თავისებურება, რითაც განსხვავდება სხვა ქვეყნისაგან. ის ყურადღებას აქცევს ადამიანთა გარეგნობას, მოსახლეობის ტანსაცმელს, დაწვრილებით აღწერს ქართულ ცეკვებსა, და მუსიკას. მას ძალზე მოეწონა მამაკაცის ქართული ტანსაცმელი, რომელიც, მისი აზრით, „მშვენივრად გათვალისწინებულია თავისუფალი მოძრაობისათვის და ამიტომ კარგად გამოკვეთს მის ფიგურას“. რაც შეეხება ქალებს, კერ პორტერმა ქალაქში ჩამოსვლისთანავე აღნიშნა: „ქართველი ქალების სილამაზე უდავოა. მათ აქვთ ლამაზი და დიდი შავი თვალები, სწორი ნაკვთები, მომხიბვლელი და სასიამოვნო სახის გამომეტყველება“.

მისი ჩანაწერები განსაკუთრებით სრულფასოვანი ხდება, როდესაც ავტორი ეხება ხელოვნების ნიმუშებს, რომლებიც მან, როგორც მხატვარმა, ღირსეულად შეაფასა. ამიტომაც მისი ნაშრომი დიდად განსხვავდება სხვა მოგზაურთა ჩანაწერებისაგან, რომლებიც ჩვეულებრივ დაინტერესებულნი იყვნენ ცხოვრების მხოლოდ პრაქტიკული საკითხებით.

თბილისში ყოფნისას კერ პორტერმა დაათვალიერა ძველი საყდრები, ავიდა მთაზე, რათა ენახა ციხის ნანგრევები, თავის წიგნში ის დაწვრილებით აღწერს ანანურის ციხე-სიმაგრეს და მცხეთის ტაძრებს. პორტერი სინანულით აღნიშნავს, „ოდესღაც ამაყი ანანურის ციხე-სიმაგრე ცუდ მდგომარეობაშია და ინგრევაო“. მან ჯეროვნად შეაფასა ძველებური არქიტექტურის სილამაზე. მას მხედველობიდან არ გამორჩენია ეკლესიების არქიტექტურული მორთულობა, რომელიც დიდი ხელოვნების ნიმუშებად მიაჩნია.

ასეთივე ინტერესით აღწერს კერ პორტერი მცხეთის სიძველეებს, რომ-

ბის დაახლოებით 30 პროცენტი კვების მრეწველობაზე მოდის.

ჩვენი რესპუბლიკა მეღვინეობის კლასიკური ქვეყანაა. ქართულ ღვინოებსა და კონიაკებს რეკლამა არ სჭირდებათ. ყოველწლიურად რესპუბლიკაში აწარმოებენ დაახლოებით 15 მილიონ დეკალიტრ ღვინოს. 77 ფაბრიკა ამუშავებს ქართულ „მწვანე ოქროს" — ჩაის. ჩვენს რესპუბლიკაში მოდის საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის თითქმის 95 პროცენტი.

საქართველო საბჭოთა კავშირში ციტრუსების ძირითადი მწარმოებელი რესპუბლიკაა. მოგვყავს მაღალხარისხოვანი თამბაქო, ეთერზეთოვანი და სხვა ტექნიკური კულტურები. იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ქართველი მეჩაიეების მიერ განვლილ სახელოვან გზაზე, საკმარისია ორი ციფრი დავასახელოთ:

1921 წელს ჩაის პლანტაციებს საქართველოში მხოლოდ ათას ჰექტარამდე ფართობი ეჭირა. ამჟამად ჩაის კულტურა 64 ათას ჰექტარზეა გაშენებული.

ეს საერთო წარმატებები შეიძლებოდა კიდევ უფრო დიდი და სასიხარულო ყოფილიყო.

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, უკანასკნელ წლებში, ცხადია, ჩვენი სოფლის მეურნეობაც დაზარალდა. ჩამოვრჩით ისეთ ტრადიციულ დარგში, როგორიცაა მეაბრეშუმეობა. ხელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, ჩამორჩენა გვაქვს ტექნიკური კულტურებისა და ხილის მოყვანაში. დიდია ვენახების მეჩხერიანობის პროცენტი.

ახლა მთელი ყურადღება იქითკენ არის მიმართული, რომ სწრაფად დავძლიოთ ჩამორჩენა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ზომები მიიღო ზვრების მეჩხერიანობის დასაძლევად, ხეხილის ახალი ჯიშების გასაშენებლად, ციტრუსების ყინვისაგან დასაცავად...

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მტკიცედ აუბეს მხარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას, პირველი სასიხარულო შედეგები უკვე გამოჩნდა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი.

მრეწველობის მუშაკებმა 21 დეკემბრისათვის შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის გეგმა. საგეგმო დავალებანი ძირითადად შეასრულა ყველა სამინისტრომ და უწყებამ. 1972 წელთან შედარებით მთლიანი პროდუქციის მატებამ შეადგინა 7 პროცენტი, მარცვლეულის მთლიანი წარმოება გაიზარდა 16 პროცენტით, ჩაისა — 8 პროცენტით, ხორცის — 10 პროცენტით, რძისა — 6 პროცენტით...

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი ახალი შემოქმედებითი ენერგიით ავსებს საბჭოთა ადამიანებს. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ეჭვს გარეშეა, მეტი ძალითა და მონდომებით შეეჭიდებიან საქმეს, კიდევ უფრო თავდადებით იშრომებენ და ახალ-ახალი მიღწევებით გაახარებენ დედასამშობლოს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე სხვა ქვეყნებთან საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის აქტივიზაცია ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას და შეესაბამება ჩვენი ხალხის ინტერესებს. რა ეკონომიური ურთიერთობა აქვს ამ მხრივ საქართველოს სხვა ქვეყნებთან? სად და რა სახის პროდუქცია იგზავნება ჩვენი რესპუბლიკიდან საზღვარგარეთ?

საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქცია მსოფლიოს 75 ქვეყანაში გადის. საქართველოში დამზადებული პროდუქცია იგზავნება ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, დასავლეთ გერმანიაში, იაპონიაში, აფრიკის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყველა სოციალისტურ ქვეყნებში...

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის პროდუქციას მსოფლიოში 27 ქვეყნის ფირმა და ორგანიზაცია ყიდულობს. მათ შორის არიან ისეთი მაღალგანვითარებული მრეწველობის ქვეყნები, როგორიცაა: ინგლისი, საფრანგეთი, ნორვეგია, ავსტრია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქციას 20 ქვეყანა ყიდულობს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროდუქცია მსოფლიოს 30 ქვეყანაში იგზავნება.

გემთმშენებლობა რესპუბლიკის მრეწველობის შედარებით ახალი დარგია. მიუხედავად ამისა, ჩვენი წყალქვეშა ფრთიანი კატარღები და თბომავლები დიდი მოწონებით სარგებლობენ უცხოეთში. ფოთში დამზადებულ „კომეტასა" და ბათუმურ „ვოლგას", ბევრი მყიდველი ჰყავს.

უცხოეთში იგზავნება საქართველოს მშრომელების მიერ დამზადებული მაღაროს ელმავლები, ელექტროვიბრაციული მანქანები, კვების მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები, არტეზიული ტუმბოები, მარმარილო, საიუველირო და ჭედური ხელოვნების ნიმუშები, ქრომიკული ნაწარმი, წიგნები...

უცხოეთში დიდი მოთხოვნილებაა აგრეთვე საქართველოს კვების მრეწველობის პროდუქტებზე.

ქართული ღვინოები, რომლებსაც უკანასკნელ 10 წელიწადში საერთაშორისო დეგუსტაციებზე 117 ოქროსა და 116 ვერცხლის მედლები აქვთ მიღებული, მოწონებით სარგებლობს უცხოეთში. „წინანდალმა", „გურჯაანმა", „ტიბაანმა", „მუკუზანმა", „თელიანმა", „ნაფარეულმა", „ახაშენმა", „სალხინომ" დიდი აღიარება მოიპოვა. იგივე ითქმის ქართულ კონიაკებზეც

ქართული ღვინისა და კონიაკის შემსყიდველ ქვეყნებს შორის ისეთი სახელმწიფოებიც არიან, რომლებსაც საკუთარი მაღალგანვითარებული მეღვინეობის მრეწველობა აქვთ. ასეთებია მაგალითად, იტალია, ბულგარეთი, იუგოსლავია, უნგრეთი, საფრანგეთი და სხვა.

საზღვარგარეთის ქვეყნებში იგზავნება ქართული ჩაი, შამპანური, უცხოეთში მოწონებით სარგებლობს ჩვენებური კაკლის მურაბა. ქართულ ციტრუსებზე ასეთივე დიდი მოთხოვნილებაა ფინეთსა და სხვა ქვეყნებში.

გარდა ამისა, საქართველოდან საზღვარგარეთის ქვეყნებში გაგვაქვს კულინარული ცხიმები, ხილის წვენები, „ბორჯომი", კვების მრეწველობის სხვა მრავალი სახის პროდუქტი.

დადგა დრო, როცა ჩვენმა სამინისტროებმა და სათანადო საწარმოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ შეფუთვა-გაფორმების ხარისხის ამაღლებას. კარგად გაფორმებული საქონელი არა მარტო თვალს იტაცებს, არამედ ამ საქონლის მწარმოებელი ქვეყნის მაღალ გემოვნებასა და კულტურაზეც მეტყველებს.

ეკონომიური თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან სულ უფრო მტკიცდება და ვითარდება; ეს თანამშრომლობა კი, როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მშვიდობიან თანაარსებობას, მეგობრული, ურთიერთხელსაყრელი დამოკიდებულების განმტკიცებას და სავსებით შეესაბამება ჩვენი ხალხის ინტერესებს.






ლის შესახებაც მისთვის უამბნია ადგილობრივ მღვდელს. დაწვრილებით აღწერს სახელგანთქმულ ტაძრებს, ეკლესიებს და სხვ. მცხეთის ტაძრის გაფორმება თავისი ხასიათით მას აგონებს ანანურის ეკლესიას. მაგრამ შიდა მოხატულობა არ მოსწონს. მისი აზრით, „წმინდანების შესახებ ლეგენდების ცუდი მხატვრობა" არღვევს ტაძრის სიდიადეს. ცხადია, მხატვარმა ნახა კედლებზე მოგვიანებით შესრულებული ფრესკები, რომლებიც პირვანდელ ფრესკებზე იყო დახატული.

კერ პორტერის წიგნში გვხვდება რამდენიმე ისტორიული მოღვაწის სახელი. მაგალითად, ნახსენებია თამარ მეფე. ეტყობა, ავტორს წარმოდგენა აქვს თამარის მეფობაზე, რადგან მას უწოდებს „საქართველოს განთქმულ დედოფალს". მცხეთის ტაძრის აღწერისას, ავტორი აგრეთვე იხსენიებს ერეკლეს და წერს, ერეკლე „საქართველოს უკანასკნელი მეფე" იყოო.

მოგვიანებით, ირანში ყოფნისას, კერ პორტერი შეხვედრია სამშობლოდან გახიზნულ უფლისწულ ალექსანდრეს, და თავის მოგზაურობის ჩანაწერში მას უწოდებს „ალექსანდრე მირზას", და იქვე აღნიშნავს, თუ რამ აიძულა ის გადახვეწილიყო ირანში.

მოგზაური, როცა მცხეთას აღწერს, ეხება პომპეუსის ლაშქრობას საქართველოში. ხოლო როდესაც ლაპარაკობს კავკასიის მწვერვალებზე, იხსენიებს მითებს, კავკასიის მთებზე მიჯაჭვულ პრომეთეს და ლეგენდას მედეას შესახებ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კერ პორტერის ნაშრომში უფრო მეტია ემოციურ-ეგზოტიკური ამბების გადმოცემა, ვიდრე საქართველოს აწმყო და წარსულის თანმიმდევრული აღწერა. მიუხედავად ამისა, ეს არ ამცირებს მისი წიგნის ღირსებას და მკითხველი ახალსა და საინტერესო უცნობ მასალას იპოვის მის ნაშრომში.

კერ პორტერის წიგნის საშუალებით შეგვიძლია უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ XVIII საუკუნის ბოლოს თბილისის აოხრების მიზეზები. ავტორი საინტერესოდ აშუქებს თბილისის ეთნოგრაფიას, შესანიშნავად აქვს აღწერილი გასული საუკუნის დასაწყისის ქალაქის ხედი და თბილისის ცხოვრების პირობები.

კერ პორტერის წიგნს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღესაც არ დაუკარგავს თავისი ისტორიული მნიშვნელობა, ვინაიდან ის იძლევა მეტად საჭირო ცნობებს ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულსა და მის კულტურაზე.

**ნატალია ორლოვსკაია**


გუგული ქადეიშვილი.


სევასტი კოკოზაშვილი.


ივანე ფიროსმანაშვილი.


არსენ ლოლიჯაშვილი.


ელენე გორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იცნობდეთ გმირებს


ალექსანდრა ვოუბა.


ნადია ჯინჯარაძე.

მოსკოვიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა.

შრომაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შვიდ მუშაკს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ.

აი ისინი, რომლებმაც საქვეყნოდ ასახელეს საქართველო:

**ელენე გორგაძე,** ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნე.

მეცხრე ხუთწლედის განვლილი სამი წელი ელენე გორგაძემ სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრა. 0,5 ჰექტარი ფართობიდან ხუთწლედის პირველ წელს მან გეგმით გათვალისწინებული 9 ცენტნერის ნაცვლად 12 ცენტნერი თამბაქო ჩააბარა სახელმწიფოს, ხუთწლედის მეორე წელს — 21 ცენტნერი, შარშან კი, უამინდობის მიუხედავად, 18 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა.

**ალექსანდრა ვოუბა,** ოჩამჩირის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე.

ხუთწლედის სამ წელიწადში 0,5 ჰექტარი ფართობიდან ალექსანდრა ვოუბამ 11.200 კილოგრამის ნაცვლად 19.115 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. მარტო შარშან 6.845 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ მისცა სამშობლოს.

**ნადია ჯინჭარაძე,** ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკას მეჩაიე.

გასულ სამ წელიწადში 0,9 ჰექტარი ფართობიდან ნადია ჯინჭარაძემ გეგმით გათვალისწინებული 21 ტონის ნაცვლად 30,9 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. შარშან მის ფართობზე საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 12,9 ტონას მიაღწია.

**გუგული ქადეიშვილი,** მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე.

0,8 ჰექტარი ფართობიდან გუგული ქადეიშვილმა ხუთწლედის პირველ წელს გეგმით გათვალისწინებული 10 ათასი კილოგრამის ნაცვლად 12.800 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. მეორე წელს — 12.900 კილოგრამი, შარშან კი 12.600 კილოგრამი ჩაის ნედლეული ჩააბარა სახელმწიფოს. მოკრეფილი ჩაის ფოთლის 80 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

**არსენ ლოლიჯაშვილი,** გორის რაიონის ბერბუკის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

1972 წელს მისმა ბრიგადამ აწარმოა 500 ტონამდე ბოსტნეული, რაც გეგმას თითქმის 120 ტონით აღემატება. 1973 წელს მიიღო 741 ტონა ბოსტნეული, გეგმა კი 365 ტონას ითვალისწინებდა.

არსენ ლოლიჯაშვილის ბრიგადამ შარშან 80 ტონის ნაცვლად 300 ტონა ხილი მოიწია. ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 40 ცენტნერი ხორბალი.

**სევასტი კოკოზაშვილი,** ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მეხილე.

1970 წელს სევასტი კოკოზაშვილმა 3 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 180 ცენტნერი ხილი მიიღო, ნაცვლად 67 ცენტნერისა. 1971 წელს — 169 ცენტნერი, 1972 წელს—192 ცენტნერი. 1973 წელს ჰექტარზე 144 ცენტნერის ნაცვლად 196 ცენტნერი ხილი მოიყვანა.

**ივანე ფიროსმანაშვილი,** წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ივანე ფიროსმანაშვილის კოლმეურნეობამ ხუთწლედის სამ წელიწადში დიდი გადაჭარბებით შეასრულა მარცვლეულის, ყურძნის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები.

შარშან 1.595 ჰექტარი ფართობიდან, საშუალოდ ჰექტარზე, გეგმით 19,9 ცენტნერი მარცვლეული უნდა მიეღოთ, ფაქტიურად კი 36,1 ცენტნერი მიიღეს. სულ მიღებულია 5.761 ტონა მარცვლეული.

1973 წელს კოლმეურნეობას გეგმის მიხედვით სახელმწიფოსათვის 255 ტონა ყურძენი უნდა მიეყიდა, ფაქტიურად კი 1.943 ტონა მიჰყიდა.

**ჟურნალ „დროშის“ კოლექტივი მხურვალედ მიესალმება სოციალისტური შრომის გმირებს და უსურვებს მათ ჯანმრთელობასა და ახალ წარმატებებს.**

# მგზავრები



ნანული გოცაძე

მოთხრობა

— რა გალევს ამხელა გზას, ძილი მაინც შემეძლოს ამ ოხერ მატარებელში! — გამხდარი, მაღალი ტანის მოხუცი კუპეში ჩამოწოლილ ცხელ ჰაერს მძიმედ ისუნთქავდა. მის პირდაპირ, საწოლზე, ტყავის ხელჩანთას დაყრდნობილი, შუახანს გადაცილებული სათვალებიანი მამაკაცი პაწაწინა წიგნს ჩასჩერებოდა და გაზეთით მალიმალ იგრილებდა გახვითქულ სახეს.

გამხდარი მოუსვენრობას შეეპყრო: — უპოვია ამასაც კითხვის დრო!

— ძალიან ცხელა, ნამდვილად დავიხრჩვებით ამ კუპეში, — გამოაცხადა ცოტა ხნის შემდეგ ხმამაღლა და მთელი ძალით ჩაეჭიდა ფანჯრის ჩარჩოს. გამხდარს კისერზე მსხვილი ძარღვები დაეჭიმა, სახეზე ალისფერმა გადაჰკრა, უმწეოდ დაუშვა მკლავები და უკმაყოფილოდ დაჯდა.

— მარტო ჩემთვის ხომ არ ვაღებ ამ ოხერ ფანჯარას, სუფთა ჰაერით მერე ყველა ერთნაირად ვისუნთქებთ, — ჩაიბუზღუნა გამხდარმა და უკმაყოფილოდ გადახედა სათვალებიანს, რომელიც უდრტვინველად იჯდა და გამხდარის ტანჯვას ყურადღებას არ აქცევდა.

— არა, ამ სიცხეში მე ვერ გავძლებ, სული ამომძვრება.

სათვალებიანმა თავი ასწია, ერთხანს თითქმის უაზროდ უცქირა გამხდარს, მერე ისევ წიგნს მიუბრუნდა.

— ფუი, დასწყევლოს ღმერთმა, ასეთი მგზავრობა და ასეთი მატარებელიც, — გამხდარს კაცის ფერი აღარ ედო.

— დაიძვრება და აგრილდება კიდეც, — მშვიდად თქვა სათვალებიანმა ისე, რომ წიგნიდან თავი არ აუღია.

გამხდარმა საათს დახედა.

— ეს მეოთხე კუპეა, არა? — კარებში ჭაღარათმიანი წარმოსადეგი მამაკაცი იდგა.

პასუხი არავინ აღირსა.

— ეს მეოთხე კუპეა, ხომ?

— დიახ, ბატონო! — დაუღრინა გამხდარმა.

— კარგი და პატიოსანი. მეთექვსმეტე, ზედა ადგილი ჩემი გახლავთ,— თქვა შემოსულმა და გამხდარის გვერდით ჩამოჯდა.

— გამარჯობათ!

არავინ არ უპასუხა.

— გამარჯობათ-მეთქი, გითხარით.

— გაგიმარჯოთ, ბატონო, მაგრამ რომ შემობრძანდით, მაშინვე უნდა გეთქვათ სალამი.

— ბოდიშს ვიხდი.

— არაფრის.

— თქვენი რომელი ადგილია? — არ მოასვენა გამხდარი ჭაღარათმიანმა.

— რომელზეც ვზივარ.

ჭაღარათმიანს გაეცინა და პიჯაკი გაიხადა.

— ცუდია, სიბერე ცუდი, — თქვა და ფანჯრის რაფას ჩაეჭიდა, — სუფთა ჰაერი კი არ გვაწყენს... აი, ასე!

კუპეში ნიავმა დაიქროლა და ნელნელა გამოუკეთა გამხდარს გუნება. მან ერთხანს დაკვირვებით ათვალიერა ჭაღარათმიანი და მერე ნელა შეაპარა:

— სიბერეო, რომ ბრძანეთ, თქვენც არ უნდა იყოთ მთლად ახალგაზრდა.

— ჰოდა, სწორედ მაგიტომ მოგახსენეთ. მეც ხშირად ვარ ისეთ ხასიათზე, ახლა თქვენ რომ ბრძანდებით.

— მე მშვენიერ ხასიათზე ვარ, — ეწყინა გამხდარს, მერე სათვალებიანს გაუღიმა და მოწიწებით სთხოვა გაზეთი.

სათვალებიანმა გაზეთი გაუწოდა, თან შეეხვეწა:

— კარები მაინც დახურეთ, გამჭოლი ქარი გაგვაციებს.

ჭაღარათმიანმა ჯიბიდან ვალიდოლის აბი ამოიღო და ენის ქვეშ მოითავსა.

— მომეცით მეც ერთი აბი, თუ არ დაგენანებათ, — სთხოვა გამხდარმა, — რაღაც გული არ მაქვს კარგად.

— ინებეთ, საერთოდ უჩივით გულს?

— რევმატიზმისაგან გულიც ცუდ დღეში მაქვს.

კუპეში სიჩუმე ჩამოვარდა. დრომ თითქოს შეწყვიტა სვლა და მატარებელიც არ აპირებდა ადგილიდან დაძვრას.

გამხდარი მალიმალ გახედავდა მეოთხე თავისუფალ ადგილს და უკმაყოფილოდ ჩაიქნევდა ხელს.

— ზოგმა ასე იცის, არ აღირსებს მოსვლას, თითქოს მატარებელი ვალდებულია ელოდოს, ნეტა ვერ მოუსწრებდეს...

სათვალებიანს გაეღიმა.

— რა ვიცი, მე კი ვერაფრით ვიშოვე ქვედა ადგილი. ახლა ეს ბებერი კაცი ზევით უნდა ავბობღდე.

— ნეტა როგორი ამინდებია ახლა დასავლეთ საქართველოში, თუა გაუთავებელი ქარიანი დღეები, როგორიც გაზაფხულზე იცის ხოლმე.

— არც მე მიყვარს ქარიანი დღე,— დაუდასტურა ჭაღარათმიანმა, — გულით ავადმყოფზე განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს.

— რა პროფესიის ბრძანდებით, ბატონო?

— ინჟინერი ვარ, ხიდების მშენებელი ინჟინერი, ახლა საპროექტო ინსტიტუტში ვმუშაობ, განყოფილების გამგედ.

— ხარისხიანი ბრძანდებით? — დაუტკბა გამხდარს ხმა.

— კი. დოქტორი ვარ.

„ალბათ, ესეც დოქტორია“, — გაიფიქრა გამხდარმა და თავაზიანად გადახედა სათვალებიანს.

სათვალებიანმა. საათს დახედა.

— ორ წუთში გავალთ, მალე თეთრეულსაც ჩამოარიგებენ და დილით სამტრედიაში გავილვიძებ.

— თქვენ რა საქმეზე მიბრძანდებით სამტრედიაში? — თავაზიანად ჰკითხა გამხდარმა.

— პირად საქმეზე, — მოკლედ მოუჭრა სათვალებიანმა.

უცებ კუპეს ახოვანი ახალგაზრდა მოასკდა.

— მეთოთხმეტე ადგილი აქ არის, არა? — იკითხა და პასუხს არ დაელოდა, ისე შემოაგდო კუპეში ტანმაღალი, ჩალისფერთმიანი გოგონა.

— აბა, კეთილად იმგზავრე, ლალი, კიდევ კარგი, რომ არ დავაგვიანეთ,— თქვა და სირბილით გაბრუნდა უკან.

— შეიძლება? — იკითხა გოგონამ.

— რა თქმა უნდა, შეიძლება.

— მობრძანდით.

— დაბრძანდით.

ჭაღარათმიანმა გოგონას ჩემოდანი ჩამოართვა და ზედა საწოლზე დასდო.

— თქვენც ზედა ადგილი გაქვთ, არა?

გოგონამ ღიმილით დაუქნია თავი.

— ჰოდა, ძალიან კარგი. მე და თქვენ მეზობლები ვიქნებით, თუ უარს არ იტყვით, ასეთი თმათეთრი კაცის მეზობლობაზე.

— როგორ გეკადრებათ.

სათვალებიანმა წიგნი ხელჩანთაში შეინახა, გასწორდა, მელოტ თავზე ხელი გადაისვა და თვალებგაბრწყინებულ გამხდარს გაუღიმა.

— აქეთ გადმობრძანდით, ფანჯარასთან ახლოს, მანდ ძალიან ცხელა, — სთხოვა გამხდარმა გოგონას.

— არა მიჭირს რა, — გაიღიმა გოგონამ.

— გადმობრძანდით, გადმობრძანდით, ნუ გერიდებათ, მე მესიამოვნება კიდეც, — არ მოეშვა გამხდარი.

— დაანებეთ თავი, ხომ ხედავთ, არ უნდა თქვენს გვერდით დაჯდომა, — თქვა ჭაღარათმიანმა და გაიცინა.

— საით გაგიწევიათ? — მიუბრუნდა იგი ცოტა ხნის შემდეგ გოგონას.

— ქუთაისში მივდივარ. ამ მატარებელს რიონამდე მივყვები, — გოგონამ კვლავ გაიღიმა, — მეშინია კი, არ დამეძინოს და არ გავცდე რიონს.

— მაგის ჯავრი ნუ გექნებათ. მე, საერთოდ, არ მეძინება მატარებელში. თავის დროზე გაგაღვიძებ, აუცილებლად გაგაღვიძებ თავის დროზე, — ავტორიტეტულად განაცხადა გამხდარმა და ჰალსტუხი შეისწორა.

— დღეს მშვენიერი დარი იდგა თბილისში, პირდაპირ შესანიშნავი. ნამდვილი გაზაფხულის დღე, — შეცვალა საუბრის თემა სათვალებიანმა.

— გაზაფხულის მზეც დაგტყობიათ უკვე.

— გაზაფხულის ბრალი არ არის, ისედაც შავი ფერის ვარ, — გოგონამ ახლა სათვალებიანს გაუღიმა.

— კარგი ფერი გაქვთ, ახალგაზრდული, ჯანსაღი.

მხატვარი ზურაბ ლეჟავა.

— მომხიბვლელი, — ჩაურთო ჭალარათმიანმა.

— არ გეშინიათ მერე, ქუთაისში რომ მოგიტაცონ? — ახლა გამხდარმა შეცვალა საუბრის თემა.

— დედ-მამასთან მივდივარ.

— ახლა ცხენისწყალზე დიდი ხიდი უნდა აიგოს და იმის თაობაზე მივდივარ დასავლეთში, — დაიწყო ჭალარათმიანმა, — ავაშენებთ იმ დიდ ხიდს, გადმოვალთ მერე იმერეთში და რაც ლამაზი იმერელი გოგონებია, სულ მეგრელ ბიჭებს მოვატაცებინებთ.

— მაგ ხიდს თუ უცადა, დარჩენილა გაუთხოვარი ეს ანგელოზივით გოგო და ესაა, — ვერ მოითმინა გამხდარმა.

— ამას, მგონი, უკვე ჰყავს თავისი მომტაცებელი, — თქვა სათვალებიანმა და გოგონას შეთქმულივით გაუღიმა.

— ჩემი ძმა იყო, — თქვა გოგონამ.

— შესანიშნავი ყმაწვილი კია, — არ დააყოვნა გამხდარმა.

— წარმოსადეგი ახალგაზრდაა, — არ ჩამორჩა სათვალებიანი.

გამცილებელმა ქალმა თეთრეული მოიტანა და მამაკაცები კუპედან დაითხოვა.

— თქვენ ნუ შეწუხდებით, მე გავშლი საწოლებს, — თქვა გოგონამ.

— აი, რა კარგი ახალგაზრდობა გვყავს. ეს ბებრუხუნები კი სულ მათ ლანძღვაში არიან, — გაუხარდა გამცილებელს.

— ესენი კარგი მოხუცები არიან,— გაეღიმა გოგონას.

— ჰო, ამათ არა უშავთ რა.

— მადლობა, ულრმესი მადლობა,— სათვალებიანი წელში მოიხარა მოწიწების ნიშნად.

— დედა, დედა, ეს რა ლამაზადაა გაშლილი, დასანანიცაა შიგ ჩაწოლა, — შეიცხადა გამხდარმა.

— აბა, ახალგაზრდებო ზევით! — ისროლა ლოზუნგი ჭალარათმიანმა,— თუმცა, ჭაბუკებო, ქალიშვილს საშუალება მივცეთ თავს მიხედოს...

ამჯერად მამაკაცები ფეხაკრეფით შემოვიდნენ კუპეში, ჭალარათმიანი რის ვაი-ვაგლახით ავიდა თავის საწოლზე.

— გეთქვათ, ასე თუ გიჭირდათ, ადგილს გაგიცვლიდით, — ვითომ ჩურჩულით უთხრა გამხდარმა.

— გმადლობთ, ფეხი მივარტყი მაგიდას და ვიტკინე. არაფერია, გამივლის.

— მშვიდად იძინეთ, რიონს რომ მივუახლოვდებით, უსათუოდ გაგაღვიძებთ, — თქვა სათვალებიანმა.

— მე დავპირდი და მე გავაღვიძებ კიდეც, — გაცხარდა გამხდარი.

— ესე იგი, მე მკვდარი ვყოფილვარ? შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. ამ მშვენიერ გოგონას მე გავაღვიძებ, — გამოიდო თავი ჭალარათმიანმა.

— ღამე ნებისა, — თქვა გოგონამ.

— კეთილი ძილი, — შეეხმიანა სათვალებიანი.

— დილამდე, ბატონებო! — გამოაცხადა გამხდარმა.

— ტკბილი სიზმრები, — დაუმატა ჭალარათმიანმა.

მატარებელი მიდიოდა.

გოგონას დიდხანს არ დაეძინა. ცოტა ხნის შემდეგ მეზობლად ფშვინვასთან შერეული სტვენა გაისმა. — გულით ავადმყოფი ყოფილა, — გაიფიქრა გოგონამ ჭალარათმიანზე. გამხდარი ერთხანს წრიალებდა. მერე მიყუჩდა და უცებ ისეთი ხმით ამოიხვრინა, რომ გოგონა კინაღამ გადმოვარდა საწოლიდან. მერე გამხდარის ხან ნიაღვარივით მოხეთქილი და ხან კი ვულკანის ფრქვევასავით მოულოდნელი და შესაზარი ხმები, რომელსაც კარგად ერწყმოდა ჭალარათმიანის სტვენა და სათვალებიანის გულიანი ფშვინვა, ბორბლების ხმაურს შეერწყა და ჯოჯოხეთურ სიმფონიად იქცა.

ამ უჩვეულო მუსიკით გადაღლილ და განაწამებ გოგონას ძლივს, ძლივს ჩაეძინა.

— გაიღვიძეთ, რიონში შევდივართ უკვე, — გამცილებელი ფრთხილად აღვიძებდა გოგონას.

გოგონამ თვალი გაახილა და ყური მიუგდო.

სიმფონია ისევ ძლიერად ჟღერდა. მოხუცებს ღრმად, დილის ტკბილი ძილით ეძინათ.

— ოც წუთში რიონში ვიქნებით,— თქვა გამცილებელმა და გავიდა.

გოგონამ ჩაიცვა. ერთხანს ღიმილით უყურა მძინარეთ. მერე ჩანთიდან ქაღალდი და მუდმივი კალამი ამოიღო:

„ ნახვამდის! კეთილი მგზავრობა! თქვენ ძალიან კარგები ხართ. სამივე ერთმანეთზე უკეთესები, მერე რა, რომ დილის ძილი აგრე რიგად გყვარებიათ. მე თქვენ ძალიან მომეწონეთ. მეტად კმაყოფილი დავრჩი ამ მგზავრობით და თქვენი გაცნობით. პატივისცემით — ლალი.

ჩქარა ააგეთ ცხენისწყალზე ის დიდი ხიდი, როცა მეგრელი ბიჭები იმერელ გოგოებს მოიტაცებენ, მეც არ დაგავიწყდეთ!“

ნაწერი ფრთხილად დასდო პატარა მაგიდაზე.

კიდევ ერთხელ გადახედა მოხუცებს, გაიღიმა და კარი გამოაღო.



ნიკოლოზ ჩაჩავა

# სამი ლექსი

## ლოდები

„ქვა ძალზე სხვადასხვანაირია და რთული, მასაც აქვს რაღაცნაირი თავისი ცხოვრება და შეიძლება უფრო რთული, ვიდრე ცოცხალ არსებებს“.

აკად. ფერსმანი.

ტრიალ მინდორზე ვინ მოიტანა
უზარმაზარი ეს ქვის ლოდები!
ვდგავარ, ვუცქერი
        და ვგრძნობ ქვიდანაც
რაღაცას ვუცდი და ველოდები.
ვინ მოიტანა,
ვინ ამოზიდა?!
იქნებ ოდესმე ადამიანმა
მარჯვენა ხელით მოგლიჯა კლდიდან...
იქნებ სტიქიამ,
        წყალმა მოლეკა —
ადიდებულმა მდინარის ტალღამ
მოატივტივა, როგორც ნაფოტი
და უთვალავი დროის სახსოვრად
აქ მიმოფანტა...
იქნებ დაინგრა დიდი ტაძარი
მთაში ნაგები უამრავ ხელით,
მითხარით ვინ ხართ,
        როგორ დასძარით
უხმო ლოდები აურაცხელი?!
შეხეთ ამ ლოდებს როგორ აჩნიათ,
გარდასულ დროთა ნაფეხურები,
მათ ვერ დასძრავდა კაცი ტან ჩია,
ვერც გოლიათის ასი ურემი.
ეს სტიქიამ ჰქნა, ბუნების ძალამ,
ლოდთან ჭიდილში რომ დაიღალა
და დაგვიტოვა როგორც თავისი
ბრძოლის ნაშთი და ნაამაგარი.

## გაოცება

მე შემიძლია
    სიყვარულიც,
      სევდაც,
        ღიმილიც —
მე შემიძლია
    აღტაცებაც
      და სიმძიმილიც.
მაშ რად მეძახით
    ხანდახან მოხუცს?!

## სურვილი ჩემი

გული ძლივს დამაქვს, დამძიმდა ისე,
ვით მძიმე ტვირთი საზიდი ძნელად.
ალბათ ახლოა მისი დაისი
და მის ხმას ვუსმენ უკანასკნელად.

ო, როგორ მინდა იძგეროს კიდევ —
და მის უცნაურ სურვილებს ვზრდიდე,
ო, როგორ მინდა ახალგაზრდობა,
ახალი დროის ძალა და ნდობა.

ო, როგორ მინდა დავწერო ლექსი,
შიგ ჩემი სულის ძახილი ჩანდეს.
არ მაწუხებდეს შური და გესლი,
ამაღლდეს კაცი მართალი ცამდე. —

ო, როგორ მინდა,
ო, როგორ მინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ სამსონაძე

მშენებელი



ეროვნული ბიბლიოთეკა



რადიშ თორდია

ახალგაზრდა არქეოლოგები



ოთარ ჯიშკარიანი შემოდგომა



ზურაბ ღლონტი დაბრუნება



გიორგი წერეთელი მშობლიურ სოფელში

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჯემალ ლოლუა

გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციური ლექსების ილუსტრაციების ერთი ფურცელი



სპარტაკ ცინცაძე ახალი სოფელი



ბექან შველიძე

შესანდობარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი თოიძე

მეთევზეები



აფთიაქი, სადაც ვანო ელიავა მუშაობს, ბათუმში, რკინიგზის სადგურის გადაღმაა, ჭავჭავაძის ქუჩაზე. იგი პატარა შენობაშია მოთავსებული, მაგრამ ისე ლამაზად გამოიყურება, რომ გამვლელი უყურადღებოდ ვერ ჩაუვლის. ვანოს ხალხი ჰყავდა შემოხვეული. მეშვიდე ათეულში გადამდგარი მოხუცი თეთრ ხალათში გამოწყობილი დაფუსფუსებდა აფთიაქში.

— ბიძია ვანო, წამალი მომიხდა, კიდევ გამიმეორე.

— ერთ საათში შემოიარე.

— ბიძია, გრიპის საწინააღმდეგო რამე გექნება, ბებიასთვის მინდა.

— წაიღე, შვილო, ოღონდ იმ შენს ბებიას უთხარი, ლოგინიდან ნუ ადგება... მარტო წამალი არაფერს უშველის.

უცებ აფთიაქში გოგონა შემოცქრიალდა.

— ბაბუა ვანო, მამიკო კარგად გახდა. თქვენმა წამალმა უშველა, — თქვა და გაიჭრა გარეთ. ვანომ ბავშვს ღიმილი გააყოლა, მისი სიტყვები ისე ესიამოვნა, რომ შეეტყო, ახლა მასზე ბედნიერი კაცი არავინ იყო.

სამუშაო დღე მიიწურა. ბიძია ვანომ აფთიაქი წესრიგში მოიყვანა, თუმცა რა ჰქონდა უწესრიგოდ!

დაკეტა. სახლისკენ გაუდგა გზას. რკინიგზის ლიანდაგს გასცდა თუ არა, წინ ვიღაც ქალი გადაუდგა, ბოდიში მოიხადა, მაგრამ თავი ველარ შეიკავა და ცრემლები წასკდა. ეტყობოდა, ეს პირველი არ იყო, რომ უდროოდ აწუხებდა მოხუცს.

— დაწყნარდი, ჩემო დაო, რატომ ღელავ, მთავარია ავადმყოფს ვუშველოთ, — ამ სიტყვის თქმა და ვა- და არც მის ცოლს ოლღას გაუჩერებია ხელი. როგორც კი მილაგ-მოლაგებას მორჩა და დასაწოლად გაემზადა, კარის კაკუნი მოესმა, კაკუნს ცრემლნარევი სიტყვები მოჰყვა:

— არ შეგეშინდეთ, მე ვარ, ბატონო, გივი ტაბეშიძე... ბავშვი ხელიდან მეცლება... წამალი მინდა.

იცნობდა თუ არ იცნობდა, გვიან იყო თუ ადრე, ახლა უარის თქმა არ შეიძლებოდა. ადამიანი შველას ითხოვდა და უნდა დახმარებოდა. სასწრაფოდ ტანთ ჩაიცვა, კარი გაუღო, წამლები გაუმზადა.

— რა ვქნა, ბატონო, ნემსის გამკეთებელიც არა გვყავს... როგორ მოვიქცე, არ ვიცი...

— ექთანი სადღაა?

— მთელი სოფელი მოვიარეთ და ვერსად მივაგენით.

ვანო ელიავამ პალტო მოისხა, პატარა ჩემოდანი აიღო ხელში და გივი ტაბეშიძეს გაჰყვა. ავადმყოფს სიცხე გაუზომა, თერმომეტრი ორმოცდაერთს უჩვენებდა. პენიცილინი გაუკეთა, შუბლზე ცივი ტილო დაადო. ახლა იგი ფარმაცევტის გარდა ექიმიც იყო და ექთანიც...

ვანო ელიავა შინ რომ დაბრუნდა, უკვე შუაღამე იყო. აფთიაქი შეამოწმა, ლუკმა გატეხა, ბალიშზე მიდო თავი და... მეზობელი სოფლიდან კაცი მოვარდა: ერთმა ქალიშვილმა შაბიამნით თავი მოიწამლა, გვიშველეთო.

ეთქვა, ექიმს მიმართეთო, აზრი არა ჰქონდა, იცოდა, ექიმი ადგილზე არ იყო. რა უნდა ექნა, საჭირო მედიკამენტები ჩემოდანში ჩაალაგა და ფეხით გაუდგა გზას.

ავადმყოფი ერთიანად გაშავებულიყო. ვანომ სასწრაფოდ, პირველ რიგში, სოდიანი წყლით ამოურეცხა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო ელიავა

# სიცოცხლის ქომაგი

გივი ვახტანგიშვილი

ნოს უკან დაბრუნება ერთი იყო. წამლები რომ გაუმზადა, თან ისიც უთხრა: შინ ვიქნები, არ მოგერიდოს, თუ ამან არ უშველა, დამირეკე, სხვა წამალს მე თვითონ ამოგიტან ბინაზეო.

ვანომ ტანისამოსი აღარ გამოიცვალა, ტელეფონთან ტრიალებდა. რომ აღარ დაურეკეს, იფიქრა, ალბათ, მოერიდათო, ადგა და თვითონ წავიდა ავადმყოფთან. ეზოს ჭიშკართან რომ მივიდა, ერთ ბიჭს მოჰკრა თვალი, ხელით ანიშნა, მოდიო.

— ბიძია, როგორ არის ამბროსი?

— უკეთაა, ბაბუა... გულის შეტევამ გადაუარა!

ვანოსაც ეს უნდოდა, ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა, მოესიყვარულა და კმაყოფილი გამოტრიალდა. ეს კმაყოფილება პირველი არ იყო, იგი მარტო აქ, ამბროსის ეზოს ჭიშკართან როდი იწყებოდა, მისი გზები შორიდან მოდიოდნენ. პირველი გზა სენაკიდან იღებდა სათავეს, მეორე — სოფელ როდინაულიდან, მესამე — სოფელ ხანიდან, მეოთხე — აჭარის წყლის ელსადგურიდან...

მართლაც, თბილისის ფარმაცევტული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რა ხალისიანად დაიწყო მისი საქმიანობა, როგორ მალე აუღო ალღო საქმეს, ავტორიტეტიც სწრაფად მოიპოვა ხალხში!... აი თუნდაც სოფელი ხანი ავიღოთ...

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ხანში თითქოს არსებობდა აფთიაქი, მაგრამ მეტწილად დაკეტილი იყო. იღბლად ექიმიც წამდაუწუმ ავად ხდებოდა. საკუთარი თავისათვის ვერ უმკურნალია და აბა ჩვენ რა კარგს დაგვაყრისო, ფიქრობდნენ ხანელები და არც ტყუოდნენ.

სოფელ ხანში ვანო ელიავა როდინაულიდან გადმოიყვანეს, ბინაც აფთიაქის შენობაში დაიდო. ვიდრე აფთიაქი აფთიაქს არ დაამსგავსა, არც თვითონ მოისვენა კუჭი, რძე მისცა, გულის გასამაგრებელი საშუალებებიც იხმარა... ავადმყოფმა მალევე მოიხედა, ხმა ამოიღო...

როგორც კი მარტო დაიგულა, ვანო ელიავამ ქალიშვილს ჰკითხა:

— მამაშვილობას გეფიცები, საიდუმლოს შეგინახავ, მითხარი, რატომ მოიწამლე თავი, რამ გაიძულა?

ქალიშვილს ცრემლი წასკდა.

ვანო აღარ მოეშვა. ბოლოს ქალიშვილს ხმა აუკანკალდა, ეტყობოდა, რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ თავს იკავებდა, არ უნდოდა გული გაეხსნა იმისთვისაც კი, ვინც სიცოცხლე დაუბრუნა. ვანო ყველაფერს მიხვდა.

— ვინ არის ის შენი ცოდვით სავსე, რომ მზესავით ქალიშვილს სიყვარულზე უარს გეუბნება?

ქალიშვილს ისევ წასკდა ცრემლი. ბოლოს ვეღარ მოითმინა და შეყვარებულის ვინაობა გაანდო ვანოს. ოღონდ სიტყვა ჩამოართვა, საიდუმლო შემინახეო.

მკურნალობა მკურნალობაა, მაგრამ ამ ქალიშვილს ახლა სხვა დახმარებაც ესაჭიროებოდა. ვანოს შინაგანი ხმა უკარნახებდა, რომ უნდა წასულიყო იმ ვაჟთან და ყველაფერი ეთქვა, ეთქვა, რომ ქალიშვილს ზურგს ნუ შეაქცევდა, რომ ის სიყვარულის ღირსი იყო...

ვანომ ქალიშვილის მამას უხმო: ჩემს მოსვლამდე ავადმყოფს გვერდიდან არ მოსცილდეო, და კარი გამოიხურა.

როგორც კი მოძებნა ვაჟი, ცალკე გაიყვანა, შორიდან დაუწყო, ბოლოს პირდაპირ მოუჭრა, იმ ანგელოზივით ქალიშვილს რატომ ეუბნები სიყვარულზე უარსო.

ვაჟი დაიბნა. ვანო აღარ მოეშვა, ბოლოს ვაჟი იძულებული გახდა გულის კარი გაეხსნა:

— არა, ბატონო, მე კი მიყვარს, მაგრამ თვითონ შემომითვალა უარი ცოლობაზე.

— ტყუილია! ქალმა შენი გულისთვის საწამლავი დალია, რომ არ უყვარდე, ამას რატომ გააკეთებდა?

ვაჟი მიხვდა, ორთა სიყვარულს ვიღაც რომ ამღვრევდა, თვალები აემღვრა. ბოდიში მოიხადა, ადგა და გაჰყვა ვანოს ქალიშვილის ოჯახში და... მალე ქორწილის თადარიგიც დაიწყო.

განა მარტო სოფელ ხანში? ასე იყო ქედაში, აჭარის წყალზე, ცხაკაიაში, ასე იყო ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინაულში... არაფერს, არაფერს არ ზოგავდა, შუაღამე იყო თუ დილა, ქარი ქროდა თუ თოვლჭყაპი იდგა, ავად იყო თუ კარგად, მაინც წამომდგარა ვანო ელიავა, გაუღია აფთიაქი და ავადმყოფისთვის წამალი გაუმზადებია. თუ საჭირო ყოფილა, თავისი ფეხით მიუტანია ბინაზე, ავადმყოფს თავზე დასდგომია, ფარმაცევტის გარდა ბევრჯერ ექიმიც თვითონ ყოფილა და ექთანის მოვალეობაც შეუსრულებია.

მადლობა? საპატიო სიგელი? ქება? ვინ დათვლის, რამდენჯერ დაუმსახურებია ეს ჯილდოები ადამიანის ჯანმრთელობისათვის ბრძოლაში გათეთრებულ ვანოს. იგი ახლაც იმ ენთუზიაზმით ცხოვრობს, 1931 წელს პირველად სენაკის აფთიაქში რომ გაგზავნეს სამუშაოდ. ის ენერგია და ის თავდადება ახლაც თან ახლავს მეშვიდე ათეულ წელში გადამდგარ ფარმაცევტს...

ოჯახური საქმეებიც მოწესრიგებული აქვს ვანოს. ქალიშვილი მერი დაბინავებული ჰყავს, მეორე, ვაჟიშვილი ბორისი ახლა შორეულ ნაოსნობაშია, როგორც კი ჩამოვა, მაშინვე დავაქორწინებო, გვეუბნება ფარმაცევტი. ცოლი ოლღაც ფარმაცევტია, სააფთიაქო სამმართველოს დამფასოებელ საამქროში მუშაობს, ისიც კეთილსინდისიერად იხდის ქვეყნის წინაშე თავის მოვალეობას.

ხალხს უთქვამს: რასაც დასთეს, იმას მოიმკიო. დიდებულადაა ნათქვამი, ვანომ დათესა და იმკის კიდევაც, იმკის და ალალიცაა!





გასული საუკუნის 70-იან წლებში უმიწაწყლო რაჭველი გლეხების დიდი ჯგუფი მშობლიური კუთხიდან აიყარა და ჩრდილოეთ კავკასიაში, ვლადიკავკავის მახლობლად, სოფელ ალაგირში დასახლდა.

მძიმე იყო ახალმოსახლეთა ბედი. გლეხებს არც სახლ-კარი გააჩნდათ, არც სახნავ-სათესი ჰქონდათ. ლუკმაპურის საშოვნელად იძულებულნი იყვნენ იჯარით აელოთ მიწა და დღე და ღამე ემუშავათ.

უკიდურესი ეკონომიური გაჭირვება, ეროვნული და სოციალური ჩაგვრა კიდევ უფრო მწვავედ აღვივებდა არსებული წესწყობილებისადმი სიძულვილს.

ოქტომბრის რევოლუციის განთიადს ალაგირელი გლეხები სიხარულით შეეგებნენ.

ჩრდილოეთ კავკასია სამოქალაქო ომის ხანძარმა მოიცვა. დენიკინის ბანდა, შინაგან კონტრრევოლუციურ ძალებთან ერთად, ცეცხლითა და მახვილით ცდილობდა რევოლუციის ჩახშობას.

ბოლშევიკების დასახმარებლად ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოსულ საშა გეგეჭკორის რაზმს ალაგირელები მხარში ამოუდგნენ. რევოლუციურად განწყობილი გლეხობა წითელ რაზმელებს შეძლებისდაგვარად ამარაგებდა სურსათ-სანოვაგით, ტანსაცმლით, მათთან ერთად იარაღით ხელში იბრძოდა მტრის წინააღმდეგ.

როცა საშა გეგეჭკორის რაზმი იძულებული გახდა უკან დაეხია, ალაგირელი ქართველები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. შურისძიებით გაავთრებული მტერი მათ ერთიანი განადგურებით ემუქრებოდა.

გამოსავალი მხოლოდ ერთი იყო: მთელი სოფელი უნდა აყრილიყო და კონტრრევოლუციონერებს გამორიდებოდა.

ალაგირიდან 300-მდე კომლი დაიძრა საქართველოსკენ. მოდიოდნენ ლტოლვილები ქარსა და წვიმაში, ღამეს ღია ცის ქვეშ ათენებდნენ. ილაჯგაწყვეტილ ხალხს შიმშილი და სახადი ავლებდა მუსრს.

— რის ვაი-ვაგლახით ჩამოვაღწიეთ საქართველოში, — უყვება ხოლმე სოფლის ახალგაზრდებს 90 წლის პაპა ერასტი მეტრეველი (სურათი 1). ლაგოდეხის რაიონში თავადი ჯანდიერის ყოფილი ტყე გავჩეხეთ, ქოხმახები შევაკოწიწეთ და თებერვალმაც მოგვისწრო...

თებერვლის თანატოლი სოფელი თანდათან გაშენდა, გაიზარდა, ლაღად გაშალა მხრები, საკოლმეურნეო ცხოვრებამ ეკონომიურად გააძლიერა იგი, ააყვავა და მშრომელმა ხალხმა იმედიანად აუწყო ნაბიჯი ნათელ აწმყოს.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა ახლა ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე და შეძლებული სასოფლო-სამეურნეო არტელია.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკმარისია ვთქვათ, შარშან კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 800 ათას მანეთს გადააჭარბა.

ყოველ დილით, როცა გამრჯე და შრომისმოყვარე გლეხები საკოლმეურნეო მინდვრებში არიან გასულნი, საამოდ გაისმის ზარის წკრიალი.

კოხტად გამოწყობილი გოგო-ბიჭები ჟივილ-ხივილით მიეშურებიან სასწავლებლისაკენ. სოფლის სამი სკოლის ვრცელ და ნათელ საკლასო ოთახებში მეცადინეობა იწყება (სურათი 2).

აი სახელოვან ალაგირელთა ერთ-ერთი ჩამომავალი ლალი წიქარიშვილი (სურათი 3). ლალი მეორე კლასის წარჩინებული მოსწავლეა. მან კარგად იცის თავისი სოფლის წარსული და ახლა კარგი სწავლით უნდა ასახელოს სამშობლო.

საბავშვო ბაღში კი ნორჩები თავიანთი საყვარელი საქმით არიან გართულნი. ისინი ახალ, კეთილმოწყობილ ქალაქებსა და სოფლებს „აშენებენ“. (სურათი 5.).

საღამო ხანს, როცა ყოველგვარი სამუშაოები მთავრდება, სკოლის შენობაში უფროსები იყრიან თავს. იწყება რუსული ენის შემსწავლელი წრის მეცადინეობა. ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ენის საფუძვლიანად შესწავლას პედაგოგი ლილი ქერაშვილი ხელმძღვანელობს. (სურათი 6).

საქვეყნოდ გაითქვა სახელი ლაგოდეხურმა თამბაქომ. ორჯონიკიძელთა შემოსავლის ძირითადი წყარო სწორედ თამბაქოა. შარშან, ხუთწლედის გადამწყვეტ წელს ცუდად როდი იშრომეს აქაურმა კოლმეურნეებმა. მათ სახელმწიფოს 2 100 ტონა თამბაქო მიჰყიდეს, ეს კი 32 ტონით აღემატება გეგმას,

ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს მეტი მონდომება და შემართება მართებთ ორჯონიკიძელებს. თამბაქოს უხვ მოსავალს მათ ამთავითვე უნდა ჩაუყარონ საფუძველი. აი, ამიტომაც არის, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ირაკლი ლობჟანიძე (სურათი 7. მარცხნიდან პირველი) სისხამ დილით თამბაქოს კვალსათბურებში დატრიალებს და გულმოდგინედ ამოწმებს ნიადაგის ფენის ხარისხს.

სოფელში ქვითკირის პირველი სახლი 1928





ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თებერვლის თანატოლი





წელს აშენდა. აბა ახლა დაიარეთ სოფლის ლარივით გაჭიმული გზები. ყველგან, ყოველ კუთხეში ხეხილში ჩაფლული ორსართულიანი, კოხტა ქვითკირის საცხოვრებელი სახლები ჩარიგებულა.

აი თუ გინდათ, რიგით მწველავს, შვიდი შვილის მამას ნოდარ ყაველაშვილს ვესტუმროთ (სურათი 8). გამრჯე კოლმეურნეს შრომა დაუფასდა. ოჯახი ხვავითა და ბარაქით აქვს სავსე. ეზოში ახლადშეძენილი ავტომანქანა „ჟიგული“ მოგტაცებთ თვალს.

ეს „ჟიგულები“ კი (სურათი 9) სოციალისტურ შრომაში გამარჯვებულ კოლმეურნეებს გაუნაწილა კოლმეურნეობის გამგეობამ.

ძველ, აქა-იქ შემორჩენილ ხის შენობებს სოფელში ახლა მხოლოდ დამხმარე სათავსოებად იყენებენ. დასანგრევად ველარ ელევიან. რას იზამ, ძნელია მამა-პაპის დანატოვარის გამეტება. პენსიონერ კოლმეურნეს საშა ღუღუნიშვილს (სურათი 10) სწორედ ამ ძველი შენობის წინ უყვარს ხოლმე ჩამოჯდომა.

წარსულს ჩაბარდა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში ალაგირიდან აყრილი გლეხკაცობის დუხჭირი ცხოვრება. საბჭოთა საქართველოს თანატოლი სოფელი კვლავ ჩვეული შემართებით იბრძვის, ილწვის, ხუთწლედის ახალი მიჯნების დასაპყრობად ემზადება. მკვდრეთით აღმდგარი სოფელი თავისი ახალგაზრდობის იმედიანი თვალით გასცქერის კიდევ უფრო ნათელ მომავალს (სურათი 11).



ფოტო ა. გოგოლაძისა





# ჩვენი იუბილარები

ეროვნული
ბიბლიოთეკა





გამოჩენილ ქართველ მწერალს ალექსანდრე ქუთათელს დაბადების 75 წელი შეუსრულდა. 70 წლის გახდა ჩვენი სახახელო კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი.

ჟურნალ „დროშის“ რედაქცია გულითადად ულოცავს ძვირფას იუბილარებს მათი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. დაე, მათი ნიჭი და დაუშრეტელი ენერგია კიდევ დიდხანს მდგარიყოს ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის სამსახურში.

● ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნო, კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის საბჭო, ქართული ლიტერატურის საბჭო, მოსკოველი მეგობრები მიესალმებიან გამოჩენილ ქართველ კრიტიკოს ბესარიონ ჟღენტს. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბესარიონ დავითის ძევ!

შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის მანძილზე თქვენ ბევრი რამ გააკეთეთ მრავალეროვანი საბჭოური ლიტერატურის განვითარებისათვის, როგორც კრიტიკოსმა, საზოგადო მოღვაწემ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა და ლიტერატურული ახალგაზრდობის მზრუნველმა აღმზრდელმა.

თქვენ ყოველთვის ხართ ქვეყნის კულტურული ცხოვრების მოვლენათა შუაგულში, თქვენთვის დამახასიათებელი ლიტერატორ-მებრძოლის გატაცებით მხურვალედ ეხმაურებით პოეზიაში, პროზასა და დრამატურგიაში ახალი ნაწარმოებების გამოჩენას.

ფართოდ ცნობილია თქვენი ნაშრომები ქართული საბჭოური ლიტერატურის ისტორიაში — ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, თეატრზე.

ძვირფასო ბესარიონ დავითის ძევ! გისურვებთ კვლავაც ასე მხნედ გეშრომოთ, იყავით კვლავაც შეურიგებელი ყოველივესადმი, რაც უცხოა ჩვენი ლიტერატურისათვის, რაც დაამახინჯებს ჩვენი სოციალისტური ხელოვნების ჭეშმარიტ სილამაზეს.

●

დაბადების 70 წლისთავზე საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, ქართველი მწერლები გულმხურვალედ მიესალმებიან ქართული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთ ფუძემდებელს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს — ბესარიონ ჟღენტს. მისალმებაში ნათქვამია:

ნახევარი საუკუნეა სისტემატურად ქვეყნდება თქვენი წერილები, მიმოხილვები, ლიტერატურული პორტრეტები, მონოგრაფიები ქართულ, რუსულ და მოძმე ხალხთა სხვა ენებზე და მთელი კავშირის მასშტაბით მოხვეჭილი გაქვთ თანამედროვე ქართული კულტურის ერთ-ერთი აქტიური მშენებლის სახელი. თქვენ იყავით და ხართ ჩვენი ეროვნული მწერლობის მაღალი იდეალების მგზნებარე პროპაგანდისტი, თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესების ერთ-ერთი წარმმართველი.

დიდია თქვენი დამსახურება საქართველოს მწერალთა კავშირის წინაშე.

ძვირფასო ბესარიონ! მოგილოცავთ სახელოვან საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

●

ძვირფას ბესარიონ დავითის ძეს გულითადად ვულოცავ მისი ცხოვრების, ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ღირსშესანიშნავ დღეს. ვუსურვებ ძველ მეგობარს, გამოჩენილ კრიტიკოსს, ლიტერატურისმცოდნეს, მეცნიერს, მკვლევარს, გაუტეხელ ქართულ ჯანმრთელობას, შემოქმედებითი ძიების ახალ ენერგიას, შთაგონებას, ბედნიერებას, მთელი გულით.

ნიკოლოზ ტიხონოვი

გთხოვთ გადასცეთ ჩემი მხურვალე მეგობრული მილოცვა ძვირფას ბესარიონ დავითის ძეს, საბჭოთა ლიტერატურის შესანიშნავ მცოდნეს, პოეზიის ერთგულ მეგობარს, ადამიანს, რომელიც ჩვენ, რუს მწერლებს რა ხანია ასე ერთგულად გვიყვარს.

კონსტანტინე სიმონოვი

თუმც მოგვიანებით, მაგრამ უცვლელი გულწრფელი სიყვარულით, პატივისცემით გილოცავთ, ძვირფასო მეგობარო, გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, წარმატებებს.

მიკოლა ბაჟანი

● ამ თარიღთან დაკავშირებით სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნო, ქართული ლიტერატურის საბჭო, მოსკოველი მეგობრები მიესალმებიან გამოჩენილ ქართველ მწერალს ალექსანდრე ქუთათელს. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენ გვახარებს თქვენი სიჭაბუკე, ენერგია და შემოქმედებითი ძალების სისავსე, ახალ-ახალი, მშვენიერი ნაწარმოებების შექმნა. მოხიბლული ვართ თქვენი ლექსებითა და მოთხრობებით, რუსულიდან და ძველი ბერძნულიდან შესრულებული თქვენი თარგმანებით. თქვენი ერუდიციით, ფაქიზი ლიტერატურული გემოვნებით, შრომის სიყვარულით თქვენ ყოველთვის მაგალითს წარმოადგენდით მწერალთა ახალი თაობისათვის. თითქმის საუკუნის მეოთხედი მოანდომეთ თქვენ ისტორიულ-რევოლუციური ეპოპეის „პირისპირის“ შექმნას. ეს ოთხტომიანი რომანი წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ენციკლოპედიას. თქვენი რომანის გმირთა შორის ჩვენ ვხედავთ დიდი ოსტატის ხელით გამოძერწილ ბოლშევიკური პარტიის სახელგანთქმული შვილების სერგეი მირონის ძე კიროვისა და სერგო ორჯონიკიძის სახეებს.

გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ახალ და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

●

გამოჩენილ ქართველ მწერალს ალექსანდრე ქუთათელს მიესალმება აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა. მისალმებაში ნათქვამია:

დიდია თქვენი დამსახურება მშობლიური ლიტერატურის წინაშე. თქვენმა მშვენიერმა ნაწარმოებებმა ფართო აღიარება მოგიპოვათ, როგორც ჩვენს მრავალრიცხოვან სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ჩვენ, თქვენს მეგობარ ქართველ მწერლებს, გვახარებს აგრეთვე თქვენი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობაც.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები იუბილეს ამ სასიხარულო დღეს ერთხელ კიდევ გეხვევით ძმურად, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდი ხნის სიცოცხლეს.

●

გულითადად ვულოცავ ჩემს ძველ მეგობარს ძვირფას ალექსანდრე ნიკოლოზის ძეს მისი ცხოვრების დიდ დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, კარგ განწყობილებას, ახალ ენერგიას — ქართული პროზის დიდებულ რაინდს. გეხვევი, გკოცნი.

ნიკოლოზ ტიხონოვი

ძვირფასო ალექსანდრე ნიკოლოზის ძევ! სიამოვნებით ვიგონებ ჩვენს შეხვედრებს გაგრაში, თქვენი გარეგნობის მომხიბვლელობასა და სილამაზეს, რომელიც სავსებით ესატყვისება თქვენს ლიტერატურულ თხზულებათა შესანიშნავ სტილს. გკოცნით.

ვიქტორ პერცოვი

ძვირფასო საშა (ალექსანდრე), მოგილოცავ სამოცდამეთხუთმეტე წელს. გისურვებ ჯანმრთელობას, ჭაბუკურ სიმხნევეს, ახალ წარმატებებს და აქტიური შემოქმედებითი ცხოვრების მრავალ წელს ხალხის, პარტიის, ჩვენი საყვარელი სამშობლოს სადიდებლად. გეხვევი, გკოცნი.

მიხას ლინკოვი

ძვირფასო ალექსანდრე, მოგილოცავთ იუბილეს. გახსოვდეთ, რომ თქვენს სიყვარულს გულში ვატარებთ არა მარტო საიუბილეო, არამედ ჩვეულებრივ დღეებშიც.

ირაკლი ანდრონიკაშვილი



# საცერო, საცერო...

გრიგოლ ტიუტიუნიკი

მხატვარი ნიკოლოზ იგნატოვი.

მოთხრობა

**ახალგაზრდა უკრაინელი პროზაიკოსი გრიგორ ტიუტიუნიკი მწერალთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელთა ბავშვობასაც ომმა თავისი წარუშლელი დაღი დაასვა, და რაც შემდგომ მათ შემოქმედებაშიც აირეკლა.**

ესეც შენ!.. — ის იყო ღუმელთან ტაბურეტზე მოვკალათდი — მინდოდა დამენახა, დედა ცეცხლს როგორ დაანთებდა, რომ კარსაც მოაწყვნენ. ვიცი, ვინც იქნება, ეს ან ბიცოლა ხარიტინაა, ან ბიცოლა ალექსანდრა, სამკითხაოდ მოვიდნენ. კარგი, ხომ არ დამაცადეთ მენახა როგორ გააჩაღებდა დედა ცეცხლს და გამეგო, რა გვექნებოდა ვახშმად, ისე გიმკითხაოთ, რომ!..

— მიდი, გაუღე, ილიკო... — მეუბნება დედა. ლოყაზე კი ცრემლები — წკაპ, წკაპ, წკაპ! — ნაფოტებს უბერავდა და ამოუვსო კვამლმა თვალები.

წინკარში გავრბივარ. იქ კოჭებამდე მწვდება კარის ღრიჭოებიდან შემოყრილი თოვლი. ჰოდა,- მიდი და გაუღე ახლა, თანაც ფეხშიშველამ! ერთი პირობა ბაბუა მურმილო ეუბნებოდა დედას; „ჩემი ივანიკოს ამბავი მიმკითხავე, ჩემო რძალო, და ერთ კვირა დღეს ამოვალ, კარს შეგიკეთებ, ფიცრები სულ გამომხმარაო“... მაგრამ შეიტყო, ივანიკო ცოცხალია, ტანკისტიაო და აღარც გამოჩენილა მერე. წინკარში კი როგორც უბერავდა, ისევ ისე უბერავს ქარი... ჰოდა, გაუღე ახლა!...

— ვინ არის? — ვიკითხე ისე ბრაზიანად, რომ სხვენზე თაგვებმა აქეთ-იქით მოცოცხეს.

— მე ვარ, ილუშა, ალენა ბიცოლა, ვერ მიცანი?

ჰმ... „ვერ მიცანი?“ როგორ უნდა მეცნო კარს იქით, თანაც ამ ღამეში. სწრაფად გავწიე ურდული და თავი ისევ ოთახში ვდურთე; ყინვამ მაინც მიმარჯვა და ფეხებში მწვდა! ბიცოლაც შემომყვა.

— საღამო მშვიდობისა, ოდარკა! — მიესალმა დედას. მე კი: — გამარჯობა, სიძე.

— გაგიმარჯოთ! — ვყვირი გულმოსული და ფეხებს ვიმშრალებ. „სიძე, სიძე!“ თითები დამაზრა, ეს კი — „სიძეო“, გაიძახის. მოიგონა რაღა!

სულ ასე მესალმება, თან თვალსაც რომ მიპაჭუნებს. ვითომ პატარა ვიყო.

მაინც როდის აქეთ გავხდი მაგის სიძე? რა ჰგონია. რაკი მაგას ნატკა ჰყავს, ავდგები და უსათუოდ იმას მოვიყვან? ეგებ, არ მოვიყვანო, ეგებ, ავდგე, ომის მერე სულაც დონბასში წავიდე და ცოლად ექიმი შევირთო, ბიძია ფილიპესავით. „სიძე“! თქვას პირდაპირ, სამკითხაოდ რომ მოვიდა.

— შენთანა მაქვს საქმე, ოდარკა, — იტკეპნება ზღურბლთან ბიცოლა. მიხვდა, რომ ჯერაც არ გვივახშმია, თფუ! ჯიბრზე ფიჩხიც ახლა გამოდგა ნედლი; თივაც რომ აღარა გვაქვს მოსაკიდებლად?..

— ცუდი სიზმარი ხომ არ გინახავს? — ეკითხება დედა და ისევ ნაკვერჩხალს უბერავს.

უბერავენ, ნაფოტი ხრჩოლავს. ცეცხლი კი არა და არ ინთება. იხრჩოლა, იხრჩოლა და უცებ... ჰოპ! — აინთო. ხატა ერთბაშად განათდა. ყველაფერმა ჩრდილი გამოიღო: სკამმაც, ბიცოლამაც, დედამაც... სარკმელი კი როგორ დაბრმავდა?! — თითქოს გარედან მზე მოაფარესო...

აპარპალდა ცეცხლი. გაეხარდა ბიცოლას, ჭრაქს ხელი დაავლო, აანთო და რაფაზე შემოდგა. მე და დედასაც გაგვეხარდა; გავმხიარულდით ყველანი, იმიტომ, რომ ბიცოლას ერთი სული აქვს, როდის ვუმკითხავებთ, დედა კი დაიღალა და ცოტას დაისვენებს. მე კი ის მიხარია, რომ ნაკერჩხლისათვის აღარ მომიწევს მეზობლებში სირბილი.

— მაშ ცუდი სიზმარი ნახე? — ეკითხება შეშფოთებული დედა ბიცოლას.

— რა ვქნა, — ოხვრით ამბობს ბიცოლა, — გუშინღამ თითქოს კარგად მესიზმრა. ამ საღამოს კი ჩემმა რძალმა შემოიარა, გორპინა სტეპანივსკამ და თქვა, გუშინწინ დმიტრო ვნახე სიზმარშიო; სწორედ ხუთშაბათძალს ცუდად დასიზმრებია დმიტრო, თითქოს მწვანე წყალში მდგარა ყელამდე, უქუდო, წითლად მოგვირისტებული ხალათი სცმია, ზურგზე კი უშველებელი ყინული ედოო, ფართო და ისეთი სიფრიფანა, რომ იღუნებოდა კიდეც, გატეხით კი რატომღაც არა ტყდებოდაო. იდგა და იცინოდაო... მერე ვითომ გორპინასთვის ეთქვა: „მომაშორე ეს ყინული, თორემ ზურგი გამიცივაო...“ ჰოდა, მოგაკითხე ახლა, ოდაროჩკა, ეგება ახსნა.

— ეგ არაფერი, — წყნარად პასუხობს დედა და ღუმელთან დახრილი ცეცხლს შეჰყურებს. — დმიტრო, რომ, ვთქვათ, სისხლით ნათესავს ენახა, კიდევ იფიქრებდა რამეს კაცი. შენი რძალი კი?.. დმიტროს ხომ სისხლით ნათესავად არ ერგება, სხვაა მაინც...

ბიცოლას ისე გაუხარდა, სახეზე ვარდისფერმა გადაჰკრა. თუმცა ეს, იქნებ, ღუმელის ბრალიცაა. დედას კი თვალები რატომღაც ამღვრეული აქვს და შიგ სევდა უკრთის.

— შენ რაღა ნახე? — ეკითხება ბიცოლას.

ბიცოლა ალენა ჩქარ-ჩქარა სუნთქავს და ყვება.

— რა ვნახე და... ვითომ სადღაც ვარ, ოლიანოვის ხევთან, ჭვავის ყანაში, მივდივარ...

— ჭვავი მოწეული იყო თუ მწვანე? — აწყვეტინებს დედა.

— უჰ, ეს კი აღარ მახსოვს, დამავიწყდა... — წუხს ბიცოლა, — მახსოვს მხოლოდ, რომ ჭვავი ბიბინებდა და თავთავები ფეხებზე მილიტინებდა... თითქოს მოღრუბლული იყო, ქარიც ქროდა... მე კი მივდივარ და მივდივარ. უცებ, სად იყო და სად არა, ფეხებთან მწყერი ამიფრინდა...

— უყურე, ეგ კარგია, — უხარია დედას, — შეხვედრას ნიშნავს, ჭვავი კი იმას, რომ ცოცხალია...

— ქარი და ღრუბელი?! — მაინც ეეჭვება ბიცოლას. ახლა კი, ვფიქრობ, ჩემი ჩარევაა საჭირო.

— ქარი და ღრუბელიო, რომ იძახით, აბა რა იქნება! კაცი ფრონტზეა, იქ ხომ არ არის...

— მართლა, ხომ იცი, ფრონტზეა, — აფოფინდა ბიცოლა და დედას მიუბრუნდა, — რა ჭკვიანი ბიჭი გყავს, ოდარკა! ღმერთო, შენ გაზარდე და გაახარე!

დედა ძალიან კმაყოფილია. ერთხანს დუმს. მერე თავზე მისვამს ხელს; ჯერ ერთხელ, მერე მეორედ, მერე მესამედ და... დიდხანს გრძელდება ასე.

— ეჰ, ასეთი დრო რომ არ იყოს, საქმეს ეწეოდა, კაცი გამოვიდოდა, ახლა კი... ხომ ხედავ, არ აცვია, არ ახურავს, მთელი დღეები შინ ზის, ჭოტივით. სკოლაზე ხომ კრინტიც ვერ დამიძრავს. გაახსენდება თუ არა, ტირის. მასწავლებელმა ბარე ხუთჯერ მოაკითხა, რატომ არ დადიხარო. აბა, ასე როგორ ივლის...

ღუმელი კი უფრო და უფრო ხურდება, ოთახს ალისფერი ეფინება. სარკმლის მინებზე ლიცლიცებენ და მბზინავ ნისკარტებს ასვარსვალებენ ზედ ყინულითა და ჭირხლით მოხატული მამალი იხვები. თან სისინებენ; თუ... ეს ფიჩხია, ღუმელში რომ შიშინებს და თეთრი ქაფი გასდის; ნედლია და შრება ფიჩხი.

აი, ფაფაც ათუხთუხდა. ისევ ეს ფაფა! ბიცოლა ალენა კი ფეხს არ იცვლის.

— ოდარკა, ეგებ საცერზედაც გვესინჯა? — გაუბედავად ამბობს ბიცოლა.

აჰა, ხომ ვთქვი! „სიძე, სიძე“! პირდაპირ ეთქვა, რომ სამკითხაოდ მოვიდა. თან თვალსაც რომ მიპაჭუნებდა!..

— რატომაც არა, — თანახმაა დედა, — საცერზედაც ვსინჯოთ. მოამზადე, შვილო, მოწყობილობა.

— მალე მაგ საცერს ფერსო გაუსკდება და ნახავთ... — ვბურტყუნებ გულმოსული. ღუმელზე კი მაინც მივძვრები საცერისა და მაკრატლის ჩამოსაღებად.

სამკითხაო მოწყობილობის მომზადებას დიდი ამბავი არ უნდა: აიღებ საცერს, დაიჭერ მუხლებშუა და ფერსოში ოდნავ გახსნილ მაკრატელს შეურჭობ. მერე დედა საჩვენებელ თითს ამოსდებს ერთი მხრიდან, მე კი (რომელ თითსაც მინდა) — მეორე მხრიდან. ჩაუყვის „ღმერთო, შეგვიწყალეო“, და — იწყება...

საცერს ნასვრეტებიც კი გაუჩნდა იმ ადგილას, სადაც მაკრატელს ვარჭობ ხოლმე, ფერსო უკვე მოარყია ამგვარმა მკითხაობამ. მაგრამ არა უშავს, ხვალ სხვა ადგილას შევარჭობ მაკრატელს. დღეს კი... იყოს ასე.

— მზადაა, — ვამბობ.

ფერსოს თითებს ვდებთ და ოთახის შუაგულისაკენ ვინაცვლებთ. კედელს საცრის დიდი, გრძელი ჩრდილი

ეფინება. ნასვრეტებში მოჩანს ღუმელში მოთამაშე ცეცხლის ალი და კონქქვეშ ციცინათელებივით ერთმანეთს გადევნებული ჭვარტლის ნამცეცები.

— ღმერთო, შენ გვიშველე, — ამბობს დედა.

და ბიცოლას სუნთქვა ეკვრის, ერთიანად იძაბება, საცერს თვალს არ აცილებს, რა მიხვედრილია! ისა ჯობია, თითებზე მიყუროს, — რასაც მინდა, იმას ვიზამ, მოვისურვებ, ცოცხალს დავტოვებ ძია დმიტროს, მოვისურვებ და — არა! გუშინ სამკითხაოდ შლეპჩიხა მოვიდა, მეზობლის ქალი;. კარგი დღეც დავაყარე... დავღუპე მაგათი სიძე!.. ახია შლეპჩიხაზე! მიხვდება, როგორ უნდა კაცის გაგდება! ვკრეფდი ერთხელ მაგათ კარ-მიდამოში მჟაუნას, დამინახა და გამომაგდო... იმიტომაც მოვუწყვე ასე!...

— ღმერთო, გვისმინე და შეგვეწიე! — კიდევ ერთხელ ამბობს დედა და შელოცვას ჩურჩულით იწყებს: — საცერო, საცერო! შენ ყოველგვარ ფქვილსა სცრი, საცერო — ლხინისას და ჭირისას, ნათლობისას და ქელეხისას, ქორწილისას და დღეობისას. მართალი თქვი, საცერო, მხოლოდ და მხოლოდ მართალი: ცოცხალია თუ არა ალენას დმიტრო? ცოცხალია — შებრუნდი მარცხნივ, თუ არა და შებრუნდი მარჯვნივ.

შემდეგ ყველანი ვდუმვართ და საცერს შევყურებთ. ეს წუთები ყველაზე მეტად მიყვარს — ბედის ჩარხს როგორც მომესურვება, ისე დავატრიალებ; მარცხნისაკენ ვუბიძგებ თითს, საცერი მარცხნივ შებრუნდება; მარჯვნისაკენ ვუბიძგებ და — მარჯვნივ... ახლა საით მივაბრუნო? ანდა... რა იქნება, სულაც რომ არ მივაბრუნო? ერთხელაც ხომ ვქენი ასე — უჰ, რა სასაცილო იყო! — შეულოცა დედამ — არ ვუბიძგე. კიდევ შეულოცა, არც მერე ვუბიძგე. დგას საცერი და არც აქეთ მიდის, არც იქით.

— რატომ არაფერს ამბობს? — ჰკითხა ბიცოლამ დედას. დედამ იფიქრა, იფიქრა და ბოლოს უთხრა: დმიტრო ნამდვილად ტყვედ ჩავარდა, თორემ ჩვენს ტერიტორიაზე რომ იყოს, საცერი უთუოდ იტყოდა რამესო...

ბიცოლას შევყურებ. საწყალს ფერფური წასვლია, კანკალებს, ეტყობა, პასუხიც ძალიან აინტერესებს და თან იმის შიშიცა აქვს, საცერმა ჩემი დმიტროს ცუდი არ მითხრასო. როგორ მოვიქცე! გონებაში ვწონი: ასეა თუ ისე, ბიცოლა ალენა კარგი ქალია; მახსოვს, შარშან ბაზრიდან თიხის პატარა მამლაყინწაც კი მომიტანა საჩუქრად, რომ ჩაბერავდი, უსტვენდა. ციგაც უჩუქებია ჩემთვის; მაშინ იმდენი ვიციგავე, ფეხზე ძლივს ვდგებოდი; თვითონვე მომეხმარა და ციგა სახლამდე მომათრევინა. გაჯავრებით კი, მხოლოდ ერთხელ გამიჯავრდა — თუჯის ნაჭერი მოვპარე და... შურდულისათვის მინდოდა, ტყვიებად. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მე თვითონ მოვიქეცი მაშინ უჭკუოდ: სულ უნდა დამეჭრა ის თუჯი, კვალი არ უნდა დამეტოვებინა. მე სულელმა, კი, ავდექი და ნაწილი შავი დღისათვის გადავინახე. ბიცოლამ ნახა და აყვირდა, ჯიბგირი ხარო, მითხრა, მაგრამ ეს ხომ ჩემი უთაობის ბრალი იყო. არა, ჯობია, ცოცხლად დარჩეს ძია დმიტრო! — გავიფიქრე და საცერს მარცხნისაკენ ვუბიძგე. ვუბიძგე და საცერიც მარცხნივ შებრუნდა. — აჰა, სხვა რაღა გინდა, ცოცხალია შენი დმიტრო, ბიცოლა!

— ხედავ? — გაიბადრა დედა. — ხომ გითხარი, ჭვავი ცოცხალს ნიშნავს-მეთქი.

ბიცოლა ალენას კი სახე აუღაჟღაჟდა, ყაყაჩოსფერი დაედო. სიხარულისაგან აღარ იცოდა, რა ექნა; იქით მიდგა, აქეთ მოდგა, მერე, უცებ, ხელში კომბოსტოს ფურცელში შეხვეული რაღაც ჩამჩარა და კარისკენ გაემართა, ზღურბლთან შეჩერდა და მოგვაძახა:

— გმადლობთ, გავიქეცი ახლა...

გავშალე კომბოსტოს ფურცელი — მოხარშული ვაშლი შემრჩა ხელში... დედას გაეცინა:

— ხომ ხედავ, ძღვენიც მოგართვეს.

მე კი ამ ძღვენმა თითქოს ხელი დამწვა, წინკარში გავვარდი, კარი გავაღე და:

— ბიცოლა, ბიცოლა! — გავძახე სიბნელეში. — მე ისე, განზრახ... ბიცოლა... მე რა ვიცი, იქნებ...

ქარმა მომტაცა სიტყვები, დაფლითა და იქვე, ზღურბლთან დაყარა. მერე მე მომაწვა და უკანვე შემომაგდო. თოვლი კი მისუსხავს და მისუსხავს ფეხებს. წავიდა ბიცოლა, ხმა ვერ მივაწიე.

— რას დატანტალებ ფეხშიშველი! — მისაყვედურა დედამ.

— კარი დავკეტე! — ვუყვირე მთელი ხმით, თითქოს ის ყოფილიყოს რაიმეში დამნაშავე და ვაშლი ჭურჭლის თაროზე მოვისროლე, — ვისაც უნდა, იმან ჭამოს.

ქარბუქიც ჩადგა უკვე — აღარ ღმუის კედლებთან და აღარ აზრიალებს სარკმლის მინებს. მე კი ვერა და ვერ ვიძინებ; ყველაფერი მეზმანება: — ხან ყინულით მხრებდამძიმებული ძია დმიტრო, ხან ხალდაც, თოვლსა და ნამქერში ჩაჩუმქრული მამაჩემი, ხანაც კედელზე მიხატული დიდი საცერი და შიგ გამურული კონქიდან გამომკრთალი ჭვარტლის მოფარფატე ნამცეცები.

— დედი, მისმენ, დედი? — წყნარად ვეკითხები დედას. — რატომ ერთხელ მამაზედაც არ იმკითხავებ, დედი?

— ვმკითხაობ, შვილო, მამაზედაც ვმკითხაობ, — ოხრავს დედა და მერე დიდხანს დუმს. — ოღონდ მე თვითონ არა, სხვებთან ვმკითხაობ.

— რატომ სხვებთან?

— რა ვიცი, მუდამ მგონია, რომ სხვამ ჩემზე მეტი იცის.

— მერე?

— არაფერი...

და კიდევ რაღაცას ამბობს დედა, მაგრამ მე უკვე აღარაფერი მესმის; ჯვალო მახურავს და მათბობს. სახლში კი ცივა და ბნელა. სიბნელე ღრმაა, ძალიან ღრმა. სადღაა ჭერი? აღარსად. წყვდიადი გამეფებულა იატაკიდან ცამდე. მეტს ველარაფერს ვფიქრობ. მხოლოდ ერთი სიტყვა ვერ ამოვიგდე თავიდან; საცერო, საცერო... მას მისდევენ სხვა სიტყვები და ერთმანეთს ერწყმიან ისე, როგორც ჭვარტლის პაწაწკინტელა წერტილები გამურულ კონქზე.

საცერო, საცერო, საცერო... შენ წმინდა ფქვილსა სცრი, საცერო, მამაჩემი სადღაა, საცერო?.. მართალი მითხარი, მხოლოდ და მხოლოდ მართალი, საცერო, სადაა მამა?.. თოვს...

უკრაინულიდან თარგმნა
ამირან ასანიძემ

# [illegible]

უხვმა ბუნებამ იმდენად იზრუნა ყველაფერზე, რომ ყოველ ნაბიჯზე რაღაცას ვსწავლობთ. ლეონარდო და ვინჩი.

ბუნების კანონებს ვერსად გავექცევით. მენანდრე.

ბუნება სასიამოვნო დამრიგებელია, და არა იმდენად სასიამოვნო, რამდენადაც ფრთხილი და ერთგული. მონტენი.

ბუნებაში არაფერი არ არის უსარგებლო. მონტენი.

ბუნებას ყველაფერი შეუძლია და ყველაფერს ჰქმნის. მონტენი.

ბუნება ყოველთვის მოქმედებს აუჩქარებლად და თავისებურად, ეკონომიურად. მონტესკიე.

ბურჟუაზიული საზოგადოება ვერ იწვევს ვერც ერთ ახალ სასიხარულო მოვლენას, რომელსაც არ ჰქონდეს თავისი ჩრდილოვანი მხარე. ბებელი.

ფილოსოფოსები ასე თუ ისე სხვადასხვანაირად ხსნიდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, თუ როგორ შევცვალოთ ის. კარლ მარქსი.

დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია იყო კლასთა ბრძოლის ისტორია. კარლ მარქსი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ცივილიზაცია უახლოვდება თავის შუადღეს. სინამდვილეში კი მხოლოდ პირველი მამლები ჰყივიან და დილის რიჟრაჟია. ემერსონი.

ბურჟუები — ეს არარაობის ოკეანეა. ძმები გონკურები.

ბანკირი ის ადამიანია, რომელმაც გათხოვათ ქოლგა მზეში და გართმევთ მას წვიმის დაწყებისას. მარკ ტვენი.

ცალკე ადამიანი სუსტია, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ერთობა ძალაა. კარლ მარქსი.

პროლეტარიატისათვის სიმამაცე, საკუთარი ღირსების შეგნება, სიამაყისა და დამოუკიდებლობის გრძნობა პურზე უფრო მნიშვნელოვანია. კარლ მარქსი.

როცა ქვეყნად კასტები დაიმსხვრევა, ცრუ რწმენის სიყალბეც წავა. ნეზვალი.

მსოფლიოში არსებობს ადამიანთა ორი გვარი: მქონე და არმქონე. სერვანტესი.

მსოფლიო ამოიცნობა უმცირეს ნაწილაკში. ვერჰარნი.

რომ შევქმნათ ახალი ქვეყნიერება, სოციალიზმი აუცილებელი გახდება. მიშელი.

ბუნება არ ითმენს უზუსტობას და არც შეცდომებს გაპატიებს. ემერსონი.

კაცობრიობა ყოველი საგნის საზომია — როგორც ესთეტიკური, ისე მეცნიერული. რავესენ-მილენი.

ყველაფერი იცვლება, არაფერი არ იკარგება. ოვიდიუსი.

ბუნება სუფთა გულისაა. ოგუმა.

ბუნება — ეს მე ვარ. რევერდი.

ბუნება ჰრასოდეს არ ცდება, ხოლო ჩვენ თვითონ მუდამ ვატყუებთ მას. ჟან-ჟაკ რუსო.

ყოველი სოციალური ფენა თავისთავად საინტერესოა. მხატვარსაც შეუძლია თანაბარი ინტერესით გამოსახოს დედოფლის მანერები და მკერავის ჩვევა. პრუსტი.

ვინც პრივილეგია დათესა, მან რევოლუცია უნდა მოიმკას. ტილე.

მე „ბურჟუას" ვეძახი ყველას, ვინც თავისი სიმშვიდისათვის უარყოფს ბრძოლას, სიყვარულს, საკუთარ თავს. ფარგი.

ყველა სულმდაბალ მოაზროვნეს „ბურჟუას" ვეძახი. ფლობერი.

## ჩვენი ჟურნალის წარსულიდან

კახა ძიძიგური

# მწერლობის საკითხები „დროშის“ პირველ ფურცლებზე

1923 წლიდან დაიწყო გამოსვლა ორკვირეულმა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალმა „დროშამ“. ჟურნალის რედაქტორი იყო მ. კახიანი.

პირველ ნომერს წამძღვარებული აქვს სარედაქციო წერილი „ჩვენი დროშა“, რომელშიც დახასიათებულია ქართული ლიტერატურის იმდროინდელი ვითარება და ახალი ჟურნალის ამოცანები.

სარედაქციო წერილში აღნიშნულია, რომ ჟურნალი გამოდის დიდი ოქტომბრის რევოლუციის მეექვსე წლისთავზე. „არაშემთხვევითია ეს მოვლენა. ჩვენი სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალის შინაარსი და სული უნდა შეიქმნეს გამომხატველი იმ ახალი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც ჩვენში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით დამყარდა. ჩვენ იმდენად გვაინტერესებს ძველი ქართული კულტურა, რამდენად იგი იყო და არის საძირკველი ახალი კულტურის.“ (გვ. 1).

მოწინავე სტატიაში ხაზგასმულია, რომ დღევანდელი ქართული ლიტერატურა „ერთგვარ კრიზისს“ განიცდის. რით აიხსნება ეს გარემოება?

მე-19 და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის დამახასიათებელი თვისება იყო ეროვნული მოტივი, წერს მოწინავე სტატია. „იმ დროს ვინც ამ თემას ამუშავებდა, თემას მაშინდელი დროისათვის მართლაც აქტუალურს და შინაარსიანს, ისინი ითვლებოდნენ ჩვენი ლიტერატურისა და კულტურის სიამაყედ“.

განვლო დრომ. ახალი ეკონომიური ურთიერთობის პირობებში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა მუშათა კლასი და ღარიბი გლეხკაცობა. ახალ ვითარებას უნდა გამოეწვია ახალი მიმდინარეობა ლიტერატურაში, უნდა წარმოეშვა ახალი ძალები, რომლებიც ღრმად ასახავდნენ თანამედროვე ცხოვრებას, კლასთა ბრძოლის ურთიერთობებს. „იქ, სადაც სრული გათიშვა და გამიჯვნა მოხდა ორ უმთავრეს კლასთა — ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, იქ, რასაკვირველია, ამ ახალი ცხოვრების დუღილისა და ჭიდილის გამომხატველი ძლიერი მწერლები გაჩნდნენ. მაგალითად: ბელგია-საფრანგეთში — ემილ ვერჰარნი, რუსეთში — მაქსიმ გორკი და ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მთელი პლეადა ახალგაზრდა მუშათა წრეებიდან გამოსული მწერლებისა“.

სარედაქციო წერილი აგრძელებს: „ჩვენში ახალმა სიომ დაჰბერა 90 წლებიდან და ფეოდალურ და გლეხურ საქართველოში შემოანათა კაპიტალიზმის „სხივებმა“.

მუშათა კლასმა ჩამოყალიბება იწყო. „გაჩნდა ჩვენში ეგრეთ წოდებული სოციალური პოეზიაც, გამომხატველი მუშისა და გლეხის ცხოვრების“. შემდეგ მოწინავეში აღნიშნულია, რომ „ნახევრად მუშამ, ნახევრად გლეხმა“ ეგნატე ნინოშვილმა თავის ნაწარმოებებში ჩვენი გლეხობის ნამდვილი სულისკვეთება გამოხატა. აქვე დასახელებულია იროდიონ ევდოშვილი, რომელიც გახდა „მუშური იდეოლოგიისა და სულისკვეთების გამომხატველი“.

ცხოვრების ახალი ვითარების გამომხატველ მწერლებად მიჩნეულნი არიან, გარდა ეგნატე ნინოშვილისა, დავით კლდიაშვილი, შიო არაგვისპირელი და ია ეკალაძე. „რამდენად ეს ბრძოლა, ეს მისწრაფება მუშათა კლასისა და გლეხ-კაცობისა ძლიერი იყო, იმდენად იმდროინდელი ჩვენი ლიტერატურა თვალსაჩინო და მისალები გახდა“ (გვ. 1).

1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ „აღფრთოვანებასა და ბრძოლას“ ფრთები შეაკვეცა, გამარჯვება „მცირე მასშტაბით“ ბურჟუაზიას დარჩა და იგი შეუდგა „ამ გამარჯვების მხატვრულად გამოთქმას და, როგორც ყოველ დრომოჭმულ კლასებს ახასიათებს, მოდუნებაში და დავიწყებაში გადავარდა. ასე მოუვიდა ჩვენს გაბატონებულ კლასებს“. ჟურნალი ხაგზასმით აღნიშნავს, რომ „პოეზიაში გამეფდა ისევ ძველი მოტივების გადამღერება, ეროვნული ჰანგები და, მეორეს მხრივ, სიყვარულის კულტი“. (გვ. 2).




აი სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა მწერლობაში სხვადასხვა მიმართულების გაჩენა. „საერთოდ, ეს ლიტერატურა 1905-დან მოყოლებული, ვიდრე დღევანდლამდე, ჩვენში იყო და არის გამომხატველი იმ სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის, რომელიც ახასიათებს ბურჟუაზიულ წესწყობილებას“. ბურჟუაზიული სისტემის კრიზისმა დაბადა კრიზისი მხატვრულ ლიტერატურაში. „პოეტებს, მწერლებს თითქმის აღარაფერი აქვთ სათქმელი, ვინაიდან თვით ძველი კაპიტალისტური წესწყობილებანიც ამოიწურა და ის ახალს არაფერს ჰქმნის“.

ჟურნალი მიიჩნევს, რომ სწორედ ეს არის ჩვენი მწერლების დუმილის მიზეზი. „დღეს ჩვენ მწერლებს რაიმე ახალისა და ძლიერის თქმა აღარ შეუძლიათ“.

აქვეა ნათქვამი, რომ 1905 წლის შემდეგ ჩვენში არ დაწერილა „ცხოვრების ძლიერი ნებაყოფილების“ გამომხატველი რომანი, მოთხრობა ან დრამა. იწერებოდა მხოლოდ კრიტიკული შინაარსის მცირე მასშტაბის ნაწარმოებები.

საყურადღებოა ისიც, რომ სტატია საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ჩვენს ლიტერატურას არა ჰყავს „თანამგზავრები“. ეს გარემოება ჩვენი ცხოვრების სიმპტომატურ მოვლენად არის აღიარებული.

სარედაქციო წერილი ეხება პროლეტარული მწერლობის საკითხებს. მაგრამ პროლეტარული მწერლობა „ჯერჯერობით ძლიერ სუსტია და ვერ არის გადმოცემა იმ ძლიერი სოციალური ნგრევისა და ახალი ცხოვრების შეგნებისა, რომელსაც დღეს განიცდის საქართველოს სინამდვილე“ (გვ. 2).

ჟურნალი გამოთქვამს რწმენას, რომ რაც უფრო გაძლიერდება მუშათა კლასი და მშრომელი გლეხკაცობა, რაც უფრო გაძლიერდება „ქალაქის წარმოება“, მით უფრო სათანადო ხელსაყრელი საფუძველი შეიქმნება მწერალთა შემოქმედებითი ზრდისათვის. „დღეს ბევრი ნიჭიერი მწერალი დუმს. ჩვენ ეს დუმილი როდი გვახარებს. ჩვენი სურვილი იქნებოდა, რომ ეს დუმილი დარღვეულიყო. საჭიროა ახალი სიტყვის თქმა, რევოლუციის სხივებით გამთბარი“.

მოწინავე სტატიაში ვკითხულობთ: „ჩვენი სურვილი იქნებოდა, რომ ყველა საღად მოაზროვნე ქართველ მწერალს თავი შემოეკრიბა ჩვენი „დროშის“ გარშემო და ეწარმოებინა ის დიადი საქმე, რომელსაც ლიტერატურის სახით მშრომელი ხალხის სამსახური ეწოდება“ (გვ. 2).

ჟურნალი იწყებს მიხეილ ადამაშვილის (მ. ჯავახიშვილის) ნაწარმოების „კვაჭი კვაჭანტირაძის“ ბეჭდვას. აქვეყნებს ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსს — „მარში მარცხნივ“.

აქვეა დაბეჭდილი სანდრო ეულის ლექსი „ოქტომბერით“.

ნოე ზომლეთელის ლექსში — „გზა ზეიმისაკენ“ გადმოცემულია მუშათა კლასის გამარჯვებისა და ზეიმის განწყობილება.

წერილში „ფრიდრიხ ენგელსი როგორც პოეტი“, გუსტავ მაიერის გამოკვლევაზე დაყრდნობით, მოცემულია ენგელსის პოეტური შემოქმედების ანალიზი. ჟურნალში მოთავსებულია ენგელსის მოზრდილი ლექსი „საღამო“, რომელიც თარგმნილია ე. ზ-ს მიერ. ეს ოპტიმიზმითა და ხვალინდელი დღის ბედნიერების რწმენით გაჟღენთილი ლექსი მთავრდება შემდეგი სიტყვებით:

„არაფერია! დაინახავთ, რომ ჩქარა ღრუბლებს
მზის ურაგანი გადარეკავს უძლიერესი,
გაიფანტება შავი ნისლის შავი აჩრდილი
და გაიშლება გამარჯვების მზე სხივოსანი“.

ჟურნალის ამავე ნომერში მოთავსებულია, აგრეთვე, გერმანელი ექსპრესიონისტების — ფრანც ვერფელისა და ვალტერ ჰაზენკლევერის ლექსები (მთარგმნელი ვ. ზ.) და სანდრო შანშიაშვილის პიესა „სპარტაკის“ პირველი მოქმედება.

კრიტიკოს ს. აბულაძის წერილში — „პროლეტარული მწერლობის ახალი კანონები“ („დროშა“ № 24). ხაზგასმულია, რომ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა, რომელსაც „ჩვენს ქვეყანაში ადგილი აქვს სოციალისტურ შეტევასა და კაპიტალიზმის ძირების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, მწერალთა ორგანიზაციების წინაშე სვამს მთელ რიგ უდიდეს ამოცანებს“. პროლეტარული მწერლობა ჯერ კიდევ ჩამორჩება „დღევანდელი კონსტრუქციის პერიოდის მუშაობის ტემპებს“. ავტორი აღნიშნავს, რომ მხატვრულ ლიტერატურაში ჯეროვანი ადგილი უნდა დაიკავონ მოწინავე მუშათა რიგებიდან გამოსულმა ადამიანებმა. სტატიაში დასახულია ზოგიერთი საორგანიზაციო ხასიათის გეგმა, ზემოხსენებული ამოცანის შესასრულებლად.

ამავე ასპექტშია გაშუქებული საკითხი კრიტიკოს ვ. ლუარსაბიძის „ლიტერატურულ შენიშვნებში“, სადაც აღნიშნულია, რომ „პროლეტარული მწერლობისადმი წარდგენილ მოთხოვნილებებსა და შემოქმედებით ამოცანებს შორის დისპროპორცია არსებობს“ („დროშა“ № 18). მიუხედავად იმისა, რომ თვალსაჩინოდ გაიზარდა ქართული პროლეტარული მწერლობის „ხვედრითი წონა“ საბჭოთა ლიტერატურის სისტემაში, ავტორის აზრით, ჯერ კიდევ ვერაა დაძლეული ოთახის ყოფა და სასიყვარულო სამკუთხედები „საწარმოო“ ფონით... პროლეტარულმა პოეზიამ ვერ გვიჩვენა, სოცია-



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევგენი ბართაია

## ენგურჰესში

გზები შეცვლიათ მთებს და ბილიკებს —
დაცერებულან დაბლა კანკალით.
დინამიტები თხრიან პირიქეთს,
პირაქეთ ცეცხლის ბრუნავს მანქანა.

ვდგავარ, გავცქერი წკირის მწვერვალებს
და მიუწვდომელს ვწვდები სამყაროს,
რომ მთების ახალ სიმაღლით ვწერო
ჩემი დღეების ფიქრი ახალი.

## ი მ ე დ ი

თუ მიცხოვრია, მხოლოდ იმედით,
მხოლოდ იმედით გავიღიმებდი.

კაცი ვარ, ქარი ვეღარ გამთელავს —
ციმციმებს ჩემი ციცინათელა.

იმედით ჩემით — მოციმციმეთი
პურიც მეყოფა, წყალიც — მცირედი.

## გ წ ა მ დ ე ს

გწამდეს, რომ ფრთები არ დაგელღება,
შენ სულ, სულ მაღლა უნდა ახვიდე.
გწამდეს, შენ ახლა სულ სხვა მეხრე ხარ,
შენ უნდა გაწვდე ახალ გზა-ხიდებს.
გწამდეს, შენს გზაზე გზას გაიკვლევენ
და ხიდზე გავლენ გზად მიმავალნი.
გწამდეს, მომავლის ხარ საძირკველი —
ჩვენი სიცოცხლის ფესვი მთავარი.

არჩილ შიშმანაშვილი

## მზეკაბანი

სიომ ჭალა აამღერა,
მინდვრის მუხამ სჭექა ბანი,
დაჰღაღადებს მღელვარ ყანას
ცის ღიმილი — მზეკაბანი.
მზით ნაფენი არე-მარე
ნიავის ხმით ოდას მღერის,
აქოჩრილა თავთავის ზღვა,
ღელავს ყანა ოდოშღერი.
თუ დალანდე მზეკაბანი, —
ფრთებს შეისხამ მისი ცქერით...
თავთავების ნარნარ ზღვაში
შესცურდები, როგორც ნავი.
იმედის შუქს აამშხლებს
გულის ყველა საზრუნავი,
მზეკაბანი — სიჭაბუკის,
სიყვარულის გამოვლენა,
მზეკაბანი, — მიწის ზავთი,
ცისკამკამი — აღმაფრენა,
საზაფხულო შეძახილის
გამრავლება, ოფლის წვეთა,
„ჰერიოგას“, „ვარხალალოს“
გულსრულობის ტკბილი დედა...
გავიჭრები მეც სამკალად,
სიტყვის ძალავ, შენ აგლესავ,
რომ გასხიპო გულბოროტი,
ქვემძრომი და ენაქლესა.
ნურც მისწვდება ნაგესლარი
შრომის, ოფლით სვე გატანილს,
ატალღებდეს სიკეთის ზღვას
სიყვარულის მზეკაბანი!

სულიკო დჟასაძიძე

## ჩავიძირები შენს სიმწვანეში

გადაულელია გულმკერდი მიწას,
დასწითლებია ლოყა ალუბალს,
ცხრათვალა მზის სხივს შიგ მკერდში იწნავს,
გულზე, ვით ჩანგზე, სიმი გაუბამს.

ნამის მძივები შვენის ბალახებს,
მინდვრებს — ყაყაჩოს ანაპერწკლება,
შენი მზიანი დილა მალაღებს,
შემომჭიკჭიკეს ნაზად მერცხლებმა.

ჩავიძირები შენს სიმწვანეში,
შენს სილურჯეში ჩავიძირები,
თუ დაგჭირდება, სიცოცხლეს მოგცემ,
შენი გულისთვის გავიწირები.

## შემოდგომა

ველზე მოვარდა ქარი აშარი,
ოქროს ფოთლები დაყარა გზებზე,
აიყოლია ფიქრთა ლაშქარი,
მზისკენ უხმობდა ჯერ უთქმელ ლექსებს.

ცისა და მიწის სურნელი ამო,
გადმოიღვარა სულში ბადაგი,
სიუხვისა და სიმწიფის ჟამო,
ოქროს გვირგვინი მამულს დაადგი.

ალექსანდრე ციბულევსკი

●

ეს როდის იყო? თოვლია და ქალაქი ონი.
სახლი. მოხუცი. ცხრა ასული — ერთფეროდ ნაზი,
სარკმლიდან მოჩანს მოფარფატე ფიფქები თოვლის
და ხელისგულზე სიყვარულის არა მაქვს ხაზი.

მე ხელისგულზე სიყვარულის არა მაქვს ხაზი.
მაგიდის ქვემოდ ბატკანია და ბზინავს ცეცხლი.
ხელისგულები ფათურობენ, დრო მიდის ასე,
დამყოლი არი მისაფერი ბატკანის ბეწვი.

●

ასეა ოდითგან: წრეა და იკვრება
წრე და მარადია ტრიალი წრის,
მაგრამ ის, რაც იყო, აროდეს იქნება,
და საყვარელია, რაც იყო, ის.

რაც იყო — ეგაა: დახუჭე თვალები,
ბნელა და ერთადერთს უყურებ სხივს,
კამკამებს სხივი და ღამე ეძალება
და წყნარი ბუნინი მიჰყვება ფიქრს.

თარგმნა მურმან ჯგუგურიამ.

ლისტური წარმოებისა და საზოგადოების შენების პროცესში, კლასიური ადამიანები როგორ ცვლიან რადიკალურად ქვეყანას და ამით საკუთარ თავსაც“.

ჟურნალი აქვეყნებს კრიტიკოს გ. ნატროშვილის „ლიტერატურულ შენიშვნებს“ (№ 17). წერილში განხილულია მხატვრული სტილის საკითხები და, ამ თვალსაზრისით, გარჩეულია პროლეტარული მწერლობის რამდენიმე წარმომადგენლის ნაწარმოებები (კ. ლორთქიფანიძე, ა. მაშაშვილი, პ. ჩხიკვაძე და სხვ.). ავტორი მიუთითებს სხვადასხვა „სტილურ ტენდენციებზე“, რომლებმაც თავი იჩინა პროლეტარულ მწერლობაში. აღნიშნულია, რომ ეს „გაღრმავებული დიფერენციაცია სტილის დარგში“ ზრდის შედეგია. „ლიტერატურული შენიშვნების“ ავტორი წერს, რომ პროლეტარული მწერლობის განვითარების თანამედროვე დონე ნათლად გვიჩვენებს იმ „მხატვრული მეთოდის სისწორეს, რომლისთვისაც თავისი ჩასახვის დღიდან შეუდრეკლად იბრძოდა პროლეტარული ლიტერატურა. ეს მეთოდი არის დიალექტიკური მატერიალიზმი“. აქედან გასაგებია, რომ „აუცილებელია ბრძოლა ყველა თეორიული შეცდომების წინააღმდეგ არა მექანისტური ცეცხლით და მახვილით, არამედ ჯანსაღი ბოლშევიკური თვითკრიტიკით“. კერძოდ, წერილში დაგმობილია „შიშველი ფსიქოლოგიზმის“ გამოვლენა ქართულ მწერლობაში.

პროლეტარული მწერლობის მტკივნეულ საკითხებს ეხება აგრეთვე კრიტიკოს კ. მელაძის წერილი „შენიშვნები ზოგიერთ საკითხებზე“ („დროშა“ № 22). ავტორი, კონკრეტული მასალის ანალიზის საფუძველზე, ასკვნის, რომ „პროლეტარულ მწერლობაში პროზა წინ მიდის, დღითი-დღე ძლიერდება, მაგრამ, სამაგიეროდ, უკან იხევს და დგება კრიზისის წინაშე პროლეტარული ლირიკა“. სტატიაში აღნიშნულია, რომ „ზოგიერთი პროლეტარული პოეტი ვერ ჩასწვდა მუშათა თემატიკის აქტუალურ მხარეებს... „მუშურ თემატიკაში“ გამომჟღავნებულია მთელი რიგი მემარცხენე ტენდენციები“.

ჟურნალ „დროშის“ ფურცლებზე მწვავედ ისმებოდა პროლეტარული მწერლობის განვითარების აქტუალური საკითხები, საგანგებო ყურადღება ეთმობოდა იმდროინდელი ლიტერატურული პროცესების კარდინალურ პრობლემებს. ჟურნალში გამოქვეყნებული მხატვრული ნიმუშები კი ოცდაათიანი წლების პროლეტარული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციების მჭევრმეტყველური მაჩვენებელია.

# საინტერესო ამბები სკივრიდან



## ქმარი № 6

ცნობილი კინოვარსკვლავი ელიზაბეტ ტეილორი თავის მეხუთე ქმარს რიჩარდ ბარტონსაც გაეყარა და გათხოვდა ლოსანჟელოსის ნახმარი მანქანების ფირმის მფლობელ ჰენრი ვინბერგზე.

როგორც უცხოური პრესა იუწყება, ეს გარემოება ერთხელ კიდევ აღნიშნავს იმას, რომ კინოვარსკვლავი არაფერს მალავს, არ უყვარს დაფარული კავშირები.

ამბობენ, ელიზაბეტ ტეილორის მიზანია ქმრების რეკორდი დაამყაროსო.



## პრინცესა ანა ისტორიული ეტლით ქორწინებაზე

პრინცესა ანა თავისი ქორწინების დღეს საქმროსთან ერთად ისტორიული ეტლით უესტმინსტერში გაემგზავრა. ეტლი აგებულია 1910 წელს. შეძენილია ჯერ კიდევ მეფე ჯორჯ V მიერ, ქორწინების დღისთვის, რომელიც შედგა 1911 წელს. მას შემდეგ ეტლს ბევრჯერ გაუწევია სამსახური მეფის კარისათვის. სხვათა შორის, იგივე ეტლი გამოიყენეს პრინცესა მარგარიტას ქორწინების დღესაც.



## მარლენ დიტრიხი დაშავდა

სახელგანთქმული მომღერალი მარლენ დიტრიხი ამჟამად 72 წლისაა. ამას წინათ იგი ვაშინგტონში კონცერტზე გამოდიოდა, ის იყო დამთავრდა კონცერტი, მარლენი დასცილდა რამპებს, რომ უეცრად დაბარბაცდა და ორკესტრანტებთან გადავარდა. მომღერალი ქალი მძიმედ დაშავდა. ამის გამო მან გადადო ტურნე პენსინვალიაში, სადაც უნდა გამგზავრებულიყო კონტრაქტის თანახმად.



## კლაუდიო ვილა — დონორი

ამას წინათ იტალიის წითელმა ჯვარმა მასტაის მოედანზე მოაწყო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სისხლის გადასხმის პროპაგანდას. წითელი ჯვარი მოსახლეობისაგან რომის ჰოსპიტლისთვის სისხლს მოითხოვდა.

შემთხვევით მოედანზე აღმოჩნდა ცნობილი იტალიელი მომღერალი კლაუდიო ვილა, რომელმაც უყოყმანოდ გაიღო სისხლი. გარდა ამისა, იმ საღამოს მომღერალმა ყველა დონორი დაპატიჟა თავის კონცერტზე, რომლის ბილეთი ძალიან ძვირი ღირს.

## ნაპოლეონი მსოფლიოს ეკრანებზე



ცნობილი ისტორიული პიროვნებები ყოველთვის იყვნენ და არიან კინემატოგრაფისტთა ყურადღების ცენტრში: ალექსანდრე მაკედონელი, იულიოს კეისარი, ნაპოლეონი, გარიბალდი...

სხვადასხვა ქვეყნის მრავალ ნიჭიერ მსახიობს მოუხდა მათი განსახიერება ეკრანზე.

ნაპოლეონის სახე კინემატოგრაფისტებს ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს იზიდავდა.

ნაპოლეონი პირველად 1886 წელს ეკრანზე განახორციელა ევგენი სკლადანოვსკიმ, გერმანული კინოს პიონერების მაქს და ემილ სკლადანოვსკების უფროსმა ძმამ. მომდევნო წელს კინოს გამომგონებელმა ლუმიერმა სცადა განეხორციელებინა იმპერატორის სახე. ათი წლის შემდეგ, ჩვენი საუკუნის დასაწყისში, ნაპოლეონი გადაიღეს იტალიაში (რეჟისორი კარლო როზი). 1908 წელს დიდ ბრიტანეთში შეიქმნა ფილმი „ნაპოლეონი და ინგლისელი მეზღვაური კოლინზი“.

1909 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯეიმს სტიუარტ ბლექტონმა ვილიამ ჰამფრის თანამონაწილეობით გადაიღო „ნაპოლეონისა და ჟოზეფინას ცხოვრების დრამა“.

1910 წელს მეფის რუსეთში რეჟისორმა ვასილ გონჩაროვმა განახორციელა „ნაპოლეონი რუსეთში“.

1914 წელს ცნობილმა იტალიელმა მსახიობმა ალბერტო კაპუციმ შექმნა ნაპოლეონის სახე. კაპუცი განთქმული იყო როგორც ისტორიულ პირთა როლების შემსრულებელი (მან ითამაშა: ნერონი, სპარტაკი, ენეოსი, გარიბალდი). შემდეგ ნაპოლეონი ფრანგებმა გადაიღეს. მსახიობმა ალბერტ დიუდონემ ნაპოლეონის როლი სამჯერ ითამაშა: პირველად 1926 წელს, აბელ განჩეს ფილმში, მეორედ 1941 წელს, როჟერ რიჩებეს ფილმში, მესამედ — 1971 წელს „ბონაპარტე და რევოლუცია“; ეს უკანასკნელი რვა საათს გრძელდებოდა. საჭირო გახდა წინა ორი სურათის გადამუშავება, გახმოვანება და შემოკლება. სულ მალე ფრანგმა მაყურებელმა იხილა ფართოეკრანიანი ფილმი „ნაპოლეონი და რევოლუცია“, რაც დიდი მოვლენა იყო ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. ამ ფილმის წყალობით ხელახლა ამოტივტივდა ცნობილი მსახიობი ალბერტ დიუდონე, რომელიც წლების მანძილზე მივიწყებული იყო.

დიუდონეს შემდეგ ბევრმა ცნობილმა მსახიობმა სცადა ნაპოლეონის განსახიერება ეკრანზე. მათ შორის აღსანიშნავია: შარლ ვანელი ფილმ „ვატერლოოში“; გერმანელი მსახიობი — კარლ გრიუნე, ჟან ლუი ბარო—საშა გიტრის ფილმში; შარლ ბოიერი კარელ ბრაუნის ფილმში — „მარია ვალევსკა“; პიერ ბლანშარი — ინგლისელი რეჟისორის ჯეკ რეიმონდის ფილმში — „ნაპოლეონი და ჟოზეფინა“; დანიელ ჩელინი საშა გიტრის ფილმში; პიერ მონდი რეჟისორ აბელ განჩეს ფილმში; მსახიობი რობერ ოსეინი რეჟისორ კრისტიან ჟაკის ფილმში. მათ შორის ყველაზე პოპულარულია შარლ ბოიერი, ბრწყინვალე გარეგნობის გამო.

ნაპოლეონის როლის შემსრულებლებიდან უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე: რუჯერო რუჯერი (იტალია), როდ სტეიგერი ბონდარჩუკის ფილმში „ვატერლოო“, დაუვიწყარი მარლონ ბრანდო „სასურველში“ და სხვ.

საინტერესო ამბები სკივრიდან

# ნაირ-ნაირი



## ჯობს გვიან...

ამერიკელმა ბერტა ფარმერმა სასწავლო წლის დაწყების წინ სასიხარულო ცნობა მიიღო: იგი ნიუიორკის ერთ-ერთ კოლეჯში ჩაირიცხა სასწავლებლად.

„ბავშვობიდან ვოცნებობდი კოლეჯში სწავლას, მაგრამ სიღარიბე ამის საშუალებას არ მაძლევდა“, — განუცხადა პრესის წარმომადგენლებს გახარებულმა ბერტა ფარმერმა.

ბედნიერი სტუდენტი ამჟამად... 85 წლისაა.



## შვიდი დღე, შვიდი საათი და შვიდი წუთი

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიაგარა-ფოლზის მკვიდრმა დევიდ ფარმერმა ამას წინათ ახალი „მსოფლიო რეკორდი“ დაამყარა... ბანაობაში.

იგი 7 დღე, 7 საათი და 7 წუთი იდგა ნელთბილი შხაპის ქვეშ.

ძველი რეკორდი ეკუთვნოდა დევიდ ჰოფმანს (აშშ, ინდიანას შტატი).



## ფეხბურთი და მუსიკა

ინგლისელმა კომპოზიტორმა ედი უორნერმა ამას წინათ დაამთავრა თავისი ახალი სიმფონიური ნაწარმოები — „ფეხბურთი“.

კომპოზიტორმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მის ორიგინალურ ნაწარმოებში „მუსიკალურ ფორმებში გამოისახა ოცი გატანილი გოლი და ორი საჯარიმო დარტყმა“.



## სუვენირი

თამბაქოს თავგამოდებული მწეველებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში დაამზადეს ორიგინალური საფერფლე.

როცა მწეველი ამ საფერფლეზე სიგარეტს დადებს, ავტომატურად ირთვება საფერფლეში ჩამონტაჟებული მინიატურული მაგნიტოფონი და ოთახში 30 წამის განმავლობაში გაისმის ხველების ხმა. ეს სულშემხუთველი ხველება შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „შეჩერდი, ჯერ კიდევ გვიან არ არის!“



## გადახერხილი ძეგლი

ძვირფასი ნახატების, ხატების, ჭედური ნიმუშებისა და სხვა მსგავსი „წვრილმანის“ გატაცებიდან იტალიელი მძარცველები უკანასკნელ ხანებში უფრო მსხვილ ოპერაციებზე გადავიდნენ.

ერთ-ერთი ასეთი ოპერაცია მათ ამას წინათ ჩაატარეს ქალაქ პალერმოში. კარაფოს მოედნიდან დღისით-მზისით, თვალსა და ხელს შუა, მოულოდნელად გაქრა მარმარილოს ძეგლი — XVII საუკუნის სკულპტურული ჯგუფის ერთ-ერთი უნიკალური ნიმუში.

პოლიცია ვარაუდობს, ქურდებმა ძეგლი რამდენიმე ნაწილად გადახერხეს და გაურკვეველი მიმართულებით გაიტანესო.



## ავტობიოგრაფიული გაზეთი

„დოლიმენტეს კურიერი“ — ასე ეწოდება ყოველკვირეულ გაზეთს, რომელიც ბრაზილიაში, პერნამბუკის შტატში გამოდის.

გაზეთის ყოველი ნომერი ეძღვნება მისი გამომცემლის — მდიდარი მრეწველის დოლიმენტეს ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

გაზეთში დეტალურად არის მოთხრობილი, რომ, მაგალითად, ამა და ამ დღეს დოლიმენტეს ოდნავ სტკიოდა თავი, რომ ამა და ამ დღეს მას საყვარელი დეიდა ეწვია სტუმრად, რომ ამა და ამ დღეს დოლიმენტე ადრე დაბრუნდა შინ, მადიანად ისადილა და ორი საათი დაიძინა...

გაზეთის ტირაჟი 200 ეგზემპლარია.

გამომცემელი თავის გაზეთს სისტემატურად უგზავნის ნათესავებს, მეგობრებს და მსხვილი გაზეთების რედაქციებს.

გარეკანის პირველ გვერდზე: „ბარათი“, ფოტო თარხან არჩვაძისა.

### „დროშის“ № 1-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ვერტიკალურად: 1. არტეკი. 2. ელგუჯა. 3. დნეპრი. 5. კოლბა. 6. ისანი. 9. ფრანციუმი. 10. ხურცილავა. 12. დარიალი. 13. უკრაინა. 15. ისკრა. 16. კურკა. 22. კიევი. 24. ლუარა. 25. ავრორა. 26. რამინი. 27. იადონი.

ჰორიზონტალურად: 4. ორბელიანი. 7. კორეა. 8. ეპოსი. 11. ინდაური. 14. კაუაი. 16. კიტრი. 17. ორერა. 18. აცტეკი. 19. ირონია. 20. კალია. 21. კუშკა. 23. ალტაი. 25. ამირანი. 28. ავარა. 29. ოდერი. 30. არგენტინა.

გადაეცა ასაწყობად 9/I-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/II-74 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4.9, ტირაჟი 55.300, შეკვ. № 33, უე 01647. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„დროშის" რაციონალიზატორული წინადადება

მხატვარი დიმიტრი ერისთავი



— ზაკონიერის ტყავი და ნივთები მოგიტანე

მხატვარი დიმიტრი ერისთავი



— ვინ არის ეს კაცი?
— ფოსტაში მუშაობს, ოცი წელია, ბეჭედს ურტყამს კონვერტებზე.

მხატვარი დიმიტრი ერისთავი



— გერვასი, თუ კაცი ხარ, მითხარი როგორ თვალები აქვს ამ ქალს ფერად ტელევიზორში?

ნახატი ამირან ერაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა





ბაკურიანში

ფოტო მალხაზ დათიკაშვილისა



